ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 7 ოქტომბერი, 2021 №188 (8717) ფასი: 60 თეთრი

„სააკაშვილი მზადაა, ციხეში ჩააბაროს ნარკოტესტი, ღარიბაშვილმა კი კანცელარიაში ჩააბაროს“

გვ.5

ადვოკატ ბასილაიას განცხადება



„სააკაშვილი იმიტომ ჩამოვიდა, რომ ივანიშვილისთვის მაგიდა აეყირავებინა“

„თბილისში ოპოზიციისთვის ხელის გადაგრეხა არც ისე მარტივია“

გვ.2

„სააკაშვილი თუ ვაჟკაცურად გაუძლებს ციხეს, ხელახლა დაიბადება, როგორც პოლიტიკური ლიდერი“

თორნიკე შარაშენიძე: „ძალიან შემებრალა სააკაშვილი. მისმა გუნდმა ციხესთან აქცია ულიმლამოდ და უგულოდ ჩაატარა“

გვ.2

„ახლა გამოჩნდება, ვინ არის რეალური ოპოზიცია“

გიორგი ბარამიძე: „სტერეოტიპი, რომ პოლიტიკოსის სიტყვას ფასი არ აქვს, სააკაშვილმა დაანგრია“

„ხელისუფლება სააკაშვილს აქ მანამდე ამყოფებს, სანამ თვითონ დასჭირდება“

გვ.3

გიგა ბუკია: „როცა რომელიმე ერთმმართველ ხელისუფლებას ჰგონია, ყველაფერი დავალაგეო, მაშინ იწყება მოულოდნელი პროცესები“

„გახარიას ორი საფრთხე აქვს. ვისურვებდი, რომ ადეკვატურად შეაფასოს“

დავით ბერძენიშვილი: „არანაცურმა ოპოზიციამ ვერ ვივარგეთ და მესამე პოლუსი ვერ შევქმენით“

გვ.3

„სააკაშვილს ციხეში არანაირი პრობლემა არ ექნება“

დათო ლორთქიფანიძე: „სააკაშვილს გარანტიები საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისი სამეგობროდან აქვს მიღებული“

გვ.4

ISSN 1987-9385

2 „მხუთავი გაზით ან წყლის ჭავლით დავშლიდით რუსთაველზე სააკაშვილის 5.000-იან მიტინგს“ ირაკლი ღარიბაშვილის ღია წერილი

5 ლანჩხუთში შინდისის გმირის საფლავი გაძარცვეს

5 „ნათლიაჩემის ქმარმა ჩემი სექსუალური შევიწროება ცადა“ რას ყვება 18 წლის ქალი

6 აშშ რუსეთზე დარტყმას ამზადებს

„ახლა გამოჩნდება, ვინ არის რეალური ოპოზიცია“

გიორგი ბარამიძე: „სტერეოტიპი, რომ პოლიტიკოსის სიტყვას ფასი არ აქვს, სააკაშვილმა დაანგრია“

იაგო ნაცვლიშვილი

რას აპირებს ოპოზიცია მიხეილ სააკაშვილის გასათავისუფლებლად და იქნება თუ არა მთელი ოპოზიცია ერთიანი? რატომ აღიარებენ ამ არჩევნებს, მაშინ როდესაც გასული წლის არჩევნები არ აღიარეს და რა შეიცვალა ამ მხრივ? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გიორგი ბარამიძე საუბრობს.

— სააკაშვილის დაკავებასთან და მეორე ტურებთან დაკავშირებით რას აპირებთ, მოქმედების რა სტრატეგიას ირჩევთ?

— ჩვენ გვექნება აქციები. ახლა ციხის შტურმით აღებას არავინ აპირებს, როგორც ამას ღარიბაშვილი როშავს, მაგრამ მშვიდობიან აქციებს ვგეგმავთ ერთი მხრივ და მეორე მხრივ — საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი მეგობრების მაქსიმალურად გააქტიურებას, რომ რაც შეიძლება სწრაფად გავათავისუფლოთ მიხეილ სააკაშვილი.

ეს არის ერთი მიმართულება ჩვენი მოქმედებისა და მეორეა ის, რაც მოგვიწოდა მიხეილ სააკაშვილმა. მან კარგად იცის, რაც არის მთავარი ამ ვითარებაში და ეს არის ამ რეჟიმის არალეგიტიმურობის კიდევ ერთხელ დადასტურება, რისი საშუალებაც გვაქვს მეორე ტურებში, რათა დავდოთ მაქსიმალური რეზულტატი. მოგეხსენებათ, ყველა დიდ ქალაქში — ხუთივე თვითმმართველ ქალაქში არის მეორე ტურები, სადაც ბევრგან ოპოზიციაა წინ და ახლა მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ ოპოზიციის კონსოლიდაციისთვის, რათა რაც შეიძლება ბევრგან გაიმარჯვოს ოპოზიციამ. ეს იქნება ძალიან სერიოზული დარტყმა ამ პუტინისტურ რეჟიმზე, რაც მას აიძულებს, მომავალ წელს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნოს.

— მაგრამ ეს შეცვლის რეალობას? გაგახსენებთ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებსა და არაერთ ოლქში გამართულ მეორე ტურს, მაგრამ ოპოზიციამ ვერსად ვერ გაიმარჯვა. შეიცვალა რეალობა მას შემდეგ? რა გაძლევთ რწმენას, რომ ეს აღარ განმეორდება ამჯერად?

— 2016 წლის შემდეგ რეალობა რომ კარდინალურად და საფუძვლიანად არის შეცვლილი, მე მგონი, ეს თქვენც კარგად იცით და არც თქვენ და არც ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს ზედმეტი ახსნა არ გჭირდებათ.

— თუმცა მარწუხებიც მეტად არის მოჭერილი, რაც ხშირად განსაზღვრავს ხოლმე არჩევნების შედეგებს.

— კი, მაგრამ, როგორც მაშინ იყო შავი ფული, ახლაც მუშაობს, როგორც მაშინ, სუსი და პოლიცია ახლაც იყო ჩართული და როგორც მაშინ იყო კრიმინალური სამყარო ჩართული, ახლაც ასევე იყო. გაყალბება ხორციელდებოდა არა მხოლოდ არჩევნების დღეს, არამედ ძირითადად არჩევნებამდე და ეს ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების გამოხმაურებებშიც არის აღნიშნული. ამის მიუხედავად, მივიღეთ ის რეზულტატი, რომ ახლა ჯამში გაიმარჯვა ოპოზიციამ. ყველა მსხვილ ქალაქში ოპოზიციამ მოიგო 60/40-ზე. რას დაწერენ და როგორი მანიპულაციებით, სხვა საკითხია. ნინოწმინდის, მარნეულისა და ახალქალაქის ხარჯზე გაიუმჯობესეს მდგომარეობა. ამის მიუხედავად, ოპოზიციამ აჩვენა სერიოზული რეზულტატი. ამიტომ სულ სხვა ვითარებაა.

— მესმის, რომ რაღაც შედეგი აჩვენეთ, მაგრამ გამარჯვებას რას ეძახით? რეფერენდუმს უწოდებდით ამ არჩევნებს და ეს წააგეთ. ესეც ფაქტია.

— იმიტომ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 43%-ზე მეტი მიიღო?! კი, ეს ასეა, მაგრამ ამ გაყალბებისა და ამ რიცხვების დაწერის პირობებშიც კი, მსხვილი ქალაქების მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციასთან წააგო 60/40-ზე. მთავარი ეს არის. მთავარი ის კი არ არის, რამდენის დაწერას მოახერხებს „ქართული ოცნება“, არამედ მთავარია მოსახლეობის განწყობა, საზოგადოებას უნდა თუ არა, რომ ეს ხელისუფლება დარჩეს. ამ გაყალბებული არჩევნებითაც კი ეს არის ნაჩვენები და ეს არის განმსაზღვრელი იმისა, დაინიშნება თუ არა ვადამდელი არჩევნები. თვითმმართველ ქალაქებში თუ გავიმარჯვებთ მეორე ტურებში, ეს იქნება განმსაზღვრელი, დანიშნონ თუ არა ვადამდელი. ეს ხომ პოლიტიკურ ფაქტორზეა დამოკიდებული და არა მხოლოდ რიცხვებზე.

— წინა წლის არჩევნების შედეგები არ აღიარეთ ოპოზიციამ, ახლა კი ფაქტობრივად აღიარეთ. რა განსხვავებაა, ახლა რატომ არ იყო ისეთივე პროტესტი?

— ახლანდელი შედეგიც გაყალბებულია. წინა არჩევნების შედეგი რაც დადეს, ესეც არ არის ჩვენთვის აღიარებული. პარლამენტი, რომელიც შეიქმნა და „ოცნება“ ოპოზიციის ნაცვლად ისევ უმრავლესობაშია, ამას ჩვენ არ ვაღიარებთ, მაგრამ ვაღიარებთ რეალობას და ამ რეალობიდან ამოვდივართ. არ ვაპირებთ პროცესიდან თვითიზოლაციასა და გარიყვას.

— ანუ ოპოზიციამ აღიარეთ, რომ შეცდომა იყო გასული წელი?

— არა, პირიქით, შეცდომა ნამდვილად არ იყო. შეცდომა რომ არ იყო, ამის გამო ჩაერთო აშშ და ევროკავშირი მედიაციაში, რომლითაც იძულებული გახდა „ოცნება“, ეღიარებინა, რომ 2020-ის არჩევნებს პრობლემა ჰქონდა და იმიტომ დააწესეს რაღაც ბარიერი. რამდენიმე პარ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„სააკაშვილი იმიტომ ჩამოვიდა, რომ ივანიშვილისთვის მაგიდა აეყირავებინა“

„სააკაშვილი თუ ვაჟკაცურად გაუძლებს ციხეს, ხელახლა დაიბადება, როგორც პოლიტიკური ლიდერი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

თორნიკე შარაშენიძე: „ძალიან შემებრალა სააკაშვილი. მისმა გუნდმა ციხესთან აქცია უღიმღამოდ და უგულოდ ჩაატარა“

— ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ჩატარებულ არჩევნებს? „ოცნებისთვის“ მოულოდნელი შედეგით დასრულდაო. თითქმის ყველა დიდ ქალაქში მეორე ტურია დანიშნული. რას იტყვით თქვენ?

— მესამე ვადით „ოცნებას“ სერიოზული პრობლემები აქვს, მით უმეტეს სკანდალი უძღოდა წინ ამ არჩევნებს, მათ შორის უკანონო მოსმენის ფაილები. ეს ერთი. მეორე — მიშას ჩამოსვლამ ნაციონალების ელექტორატის მობილიზება მოახდინა. რომ არ დაეჭირათ, ალბათ, კიდევ უფრო შეიცვლებოდა სურათი „ოცნების“ საწინააღმდეგოდ.

— ყველა ფაქტორმა იმუშავა?

— კი, ეს ორი ფაქტორია ძირითადად — „ოცნების“ რეიტინგის კანონზომიერი დაცემა და სააკაშვილის ჩამოსვლა. თუმცა, რომ არ დაეჭირათ, იყო შანსი, საქმე ბოლომდე მიეყვანა. იყო იმის შანსი, რომ მიშას უფრო გაემწვავებინა სიტუაცია და მეტი პრობლემა შეექმნა „ოცნებისთვის“.

— იყო მოლოდინი, რომ თბილისს მაინც მოიგებდა „ოცნება“. კალაძის რეიტინგსა და მის თავდაჯერებულობაზე ბევრს საუბრობდნენ არჩევნების წინ. რა მოხდა? გახარიას აბრალებენ. არის გახარიას ბრალი?

— ჩემი აზრით, კანონზომიერი რაღაც მოხდა. გახარიას გამოჩენამაც, ბუნებრივია, სიტუაცია შეცვალა. წინა არჩევნებზეც მეორე ტური გახდა საჭირო. მაშინაც მელია იყრიდა კენჭს. თბილისი არ არის ასე მარტივი თემა, ვერც ისე მარტივად მოახდენ ამომრჩევლის ადმინისტრაციული რესურსის მობილიზებას, რომ ან ვინმე დააშინო, ან მოისყიდო. ასე რომ, თბილისში ოპოზიციისთვის ხელის გადაგრეხა არც ისე მარტივია. შესაბამისად, არის მეორე ტური. მეორე ტურში მაინც კალაძე მოიგებს. პატარა პარტიის ხმები, ალბათ, გაიყოფა 50/50-ზე. გახარიასი უფრო მაინც „ოცნებისკენ“ წავა.

— არავის არ ვაძლევთ ჩვენს ხმებსო...

— სააკაშვილი ციხეში უნდა იჯდესო, გახარია ამბობს. გარდა ამისა, თბილისში ყველაზე მეტად ნარჩუნდება ნაცმოძრაობის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება.

— დანარჩენ დიდ ქალაქებზე რას იტყვით? ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი...

— დასავლეთ საქართველოში არის შანსი, ნაცმოძრაობამ გაიყვანოს თავისი კანდიდატი.

— ეს რამდენად შეცვლის რეალობას? გვესმის შეფასებები, რომ ხელისუფლების გადაბარების პროცესი იწყება. ასეა?

— ასე მარტივადაც არ არის. ეს ამ არჩევნების შედეგებზე ნაკლებადაა დამოკიდებული. უფრო დამოკიდებულია იმაზე, „ოცნება“ რამდენად ნორმალურად გააგრძელებს ქვეყნის მართვას. თუ კიდევ ამდენი სკანდალი იქნება, რისი მომსწრენიც ვართ ბოლო ერთი წელია, თუ ასეთი კრიზისები იქნება, არ ვიცი, „ოცნებამ“ კიდევ სამი წელი როგორ უნდა გაძლოს და 2024-მდე როგორ უნდა მიატანოს.

— რას იტყვით მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებაზე მის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით? ბევრმა თქვა, რომ მიშამ ვერ გათვალა. პრემიერის განცხადებებიც მოვისმინეთ — ის გაღიმებული შევიდა ციხეში და დღეს ისტერიკაშიაო. ამაზე რას იტყვით?

— მე არ ვიცი, პრემიერი ღარიბაშვილი რამდენად ამბობს სიმართლეს. ადრეც სულ ვფიქრობდი იმაზე, თუ რატომ არ ჩამოდიოდა სააკაშვილი. არ ჩამოდიოდა იმიტომ, რომ მას ეშინოდა ციხეში მოხვედრის. მისნაირი ჰიპერაქტიური და კომფორტს მიჩვეული ადამიანი როგორ გაძლებს ჩაკეტილ სივრცეში, მით უმეტეს ციხეში?! ეს არაა იოლი წარმოსადგენი. ამჟამად ის რამდენიმე მიზეზის გამო ჩამოვიდა.

— რა მიზეზების?

— პირველი: მან ჩათვალა, რომ არ ჩამოსულიყო, ისე ჩაივლიდა არჩევნები, როგორც აქამდე და „ოცნება“ მოიგებდა ყველა ვარიანტში, გადაწყვიტა, რომ მაგიდა აეყირავებინა ივანიშვილისთვის. მეორე: ალბათ, ჩათვალა, რომ როგორც თვითონ უყვარს თქმა, ჩამოშლილია „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და მას ვერ დაიჭერდნენ. არც ამ დონეზეა ჩამოშლილი. ძალოვანი უწყებები, ყოველ შემთხვევაში, მუშაობენ. ასევე, რასაც ჩვენ ვუყურეთ, ციხესთანაც არ შეიკრიბა საკმარისი რაოდენობის ხალხი.

— საკუთარმა გუნდმაც ხომ არ შეიყვანა შეცდომაში და სულ სხვა სურათი ხომ არ დაუხატა?

— ამ გუნდს ერთი სული აქვს, დაბრუნდეს ხელისუფლებაში და იციან, რომ სააკაშვილის გარეშე ეს არ მოხდება. ალბათ, ასჯერ უთხრეს, ოღონდ ჩამოდი და ქუჩაში 100 ათას კაცს გამოვიყვანთო. არაა გამორიცხული, რომ ეს უთხრეს. ბოლოს და ბოლოს, შთააგონეს, რომ ჩამოსულიყო. რაც გუშინ ვნახეთ, მაგალითად, მე ძალიან შემებრალა სააკაშვილი, სულ რაღაც 1000 კაცამდე მივიდა და არავის მოუკლავს თავი მის გამო. არჩევნებიდან მესამე დღეს გაახსენდათ მხო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„მხუთავი გაზით ან წყლის ჭავლით დავშლიდით რუსთაველზე სააკაშვილის 5.000-იან მიტინგს“

ირაკლი ღარიბაშვილის ღია წერილი

გუშინ, 6 ოქტომბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ღია წერილი გამოაქვეყნა.

ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის ფსიქოლოგიური და ფსიქიკური მდგომარეობა ციხეში შესვლამდე და შესვლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა, ნაციონალურ მოძრაობაში შფოთავენ, რომ მათი ლიდერი მძიმე მდგომარეობაშია და ციხიდან დაუყოვნებლივ გაყვანას ითხოვს.

ირაკლი ღარიბაშვილის ღია წერილს უცვლელად გთავაზობთ:

„მეგობრებო, ალბათ, ბევრი ჩვენი თანამოქალაქე ფიქრობს, რა ამოძრავებდა მიხეილ სააკაშვილს, როდესაც საქართველოში თავისი ავანტიურისტული ჩამოსვლა დაგეგმა. ვერსია სხვადასხვა შეიძლება იყოს. ზოგი ფიქრობს, რომ ძალაუფლების დაბრუნების წყურვილმა, ეგოიზმმა და ნაციონალური მოძრაობის სხვა ლიდერებზე ეჭვიანობამ სძლია და ყურადღების ცენტრში მოსაქცევად, შეგნებულად ჩაჯდა ციხეში. ზოგი ფიქრობს, რომ ხელისუფლების გადატრიალების განზრახვით დაბრუნდა, რის წარმატებაშიც ღრმად იყო დარწმუნებული. საუბრობენ იმაზეც, რომ ნარკოტიკებზე მძიმე დამოკიდებულების ფონზე, თავისი გადაწყვეტილების შედეგების გათვლა გაუჭირდა.

მიხეილ სააკაშვილის ფსიქოლოგიური და ფსიქიკური მდგომარეობა ციხეში შესვლამდე და შესვლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. ნაციონალურ მოძრაობაში შფოთავენ, რომ მათი ლიდერი მძიმე მდგომარეობაშია და ციხიდან დაუყოვნებლივ გაყვანას ითხოვს. ამბობს, რომ ის არც მერაბიშვილია და არც ახალაია და ციხეში დიდხანს დარჩენას ვერ შეეგუება. სააკაშვილის ეს მდგომარეობა გუნდში მძიმედ მიიღეს, თუმცა, არც იციან, რა უნდა მოიმოქმედონ. რაც შეეხება სააკაშვილის ჩამოსვლის ზემოთ ჩამოთვლილ ვერსიებს. ის ვერსია, რომ მიხეილ სააკაშვილი შეგნებულად ჩაჯდა ციხეში და ეს წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი, აბსურდულად მიმაჩნია. მითუმეტეს, ეს რომ სდომებოდა, მაშინ არა ქურდულად და კანონის დარღვევით, არამედ ვაჟკაცურად (რამდენად არარელევანტურადაც არ უნდა ჟღერდეს სააკაშვილთან მიმართებით) შემოვიდოდა და ჩაჯდებოდა ციხეში. ამგვარი ნაბიჯით ის გაამძაფრებდა მისსავე გზავნილს საქმეების შეკერვისა და პოლიტპატიმრობის შესახებ.

ახლა კი, როდესაც ის საქართველოში ახალი დანაშაულის ჩადენის გზით შემოვიდა, მან ამ გზავნილს ფორმალური საფუძველიც კი გამოაცალა. ალოგიკური გადაწყვეტილების ნარკოტიკებზე გადაბრალებაც აბსურდი მგონია. როგორი ნარკოდამოკიდებულიც არ უნდა იყოს ადამიანი, მას ყოველთვის აქვს საკმარისი დრო, რომ ალოგიკურ ნაბიჯზე აიღოს ხელი. შესაბამისად, ყველაზე ლოგიკურად მაინც ის ვერსია შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სააკაშვილი საქართველოში არა ციხეში შესვლის გათვლით, არამედ ხელისუფლების გადატრიალების მყარი იმედით ჩამოვიდა.

აქვე საზოგადოებას მინდა ვუთხრა, რომ სააკაშვილის რევოლუციური განზრახვა ყველა შემთხვევაში წარუმატებლობისთვის იყო განწირული. მისივე გეგმის მიხედვით 3 ოქტომბერს მოულოდნელადაც რომ გამოჩენილიყო რუსთაველზე, პოლიცია წყლის ჭავლის ან მაქსიმუმ, მხუთავი აირის გამოყენებით დაშლიდა მათ მაქსიმუმ 5000-კაციან შეკრებას და სააკაშვილს უმარტივესად

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლეკვრაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარიას ორი საფრთხე აქვს. ვისურვებდი, რომ ადეკვატურად შეაფასოს“

დავით ბერძენიშვილი: „არანაცურმა ოპოზიციამ ვერ ვივარგეთ და მესამე პოლუსი ვერ შევქმენით“

ნათია ხურცილავა

„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– პატონო დავით, პრემიერმა ღარიბაშვილმა თავის წერილში მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით გადატრიალების ვერსიაზე ისაუბრა. რას იტყვით ამ წერილზე?

– წერა არც ივანიშვილმა იცის და არც ღარიბაშვილმა. ივანიშვილის წერილები მისი ნაკარნახევი და მთელი ჯგუფის მიერ იყო რედაქტირებული. ღარიბაშვილის შემთხვევაში კარნახზეც ეჭვი მეპარება. ვინც ამ წერილს ასეთი ფორმა მისცა, იმ ჯგუფში ჩემი ნაცნობები თუ არიან, გული ძალიან დამწყდება.

რაც შეეხება წერილის შინაარსს, იმდენი ვერსია დაუშვა, ჭორიკანობაა, თან – ძალიან მდარე. სამარცხვინოა. ჩემს ახალგაზრდობაში ამბობდნენ – ერთი „მასტერკა“ ტვინი არ აქვსო.

– შეიძლება, ახალი ბრალი წაუყენონ, გადატრიალების მომზადება?

– გადატრიალების მუხლს როგორ წაუყენებენ, როდესაც არავითარი საფუძველი არ არის! ზელენსკიმ თქვა, რომ მისი ხელისუფლების წევრია, მისი ქვეყნის მოქალაქეა, მიუხედავად იმისა, რომ მთლად კმაყოფილი არ არის, მაგრამ დაიცავს და უკრაინის მოქალაქის დაბრუნებას შეეცდება, როგორც სხვა შემთხვევებში ცდილობს.

ხელისუფლებას უნდა, სააკაშვილზე ბევრი ლაპარაკი იყოს. სააკაშვილის თავგადაკლულ მომხრეებშიც არიან ასეთები. მათ არ აინტერესებთ მეორე ტურში გამარჯვება ან ნაკლებად აინტერესებთ. ახლა მთავარი და არსებითი არჩევნების მეორე ტური და მეორე ტურში გასული კანდიდატების გამარჯვებაა.

– პირველ ტურში რა ვერ შეძლო ოპოზიციამ, რა დააკლდა?

– არანაცურმა ოპოზიციამ ვერ ვივარგეთ და ვერ შევქმენით მესამე პოლუსი. „ლელო“, „რესპუბლიკელები“, „თავისუფალი დემოკრატები“, ზურაგირჩი ჯაფარიძე, ელენე ხოშტარია და კიდევ რამდენიმე პოლიტიკური ჯგუფი რომ გამოსულიყო ერთიანი სიითა და ერთიანი მაჟორიტარებით, ახლა ჩვენ გამარჯვებულები ვიქნებოდით, რადგან ეს 20% ნიშაა. ჩვენ ეს შეცდომა დავუშვით. ბევრმა პატარა პარტიის ხელმძღვანელმა თავი ძალიან დიდი პარტიის დიდ პოლიტიკოსად წარმოიდგინა. ამან, ბუნებრივია, დაგვაზარალა. „ნაცები“ არაფერ შუაში არ არიან. მათ თავიანთი ხმები უზრუნველყვეს და მიიღეს.

– როგორია თქვენი პოზიცია ნიკა მელიას იდეაზე ჩრდილოეთ კაბინეტთან დაკავშირებით, რომელსაც ოპოზიციას შესთავაზებს?

– სწორი მიდგომაა მელიას მხრიდან. „რესპუბლიკელები“ არ ვართ პოზიციებს დახარბებული. არც ვმონაწილეობდით არჩევნებში. ამიტომ ჩრდილოეთ კაბინეტში ყოფნის პრეტენზია არ გვაქვს, მაგრამ ნიკა მელიამ იცის, რომ მე ამ იდეას ვემხრობი, რადგან სწორი მიდგომაა. ბუნებრივია, ოპოზიციას ერთმანეთთან გვაქვს კომუნიკაცია. თბილისის მთავრობაში ათი გამგებელი, სხვადასხვა სამსახურია და ყველა პარტიის კვალიფიციური წარმომადგენლისთვის მოიძებნება ადგილი. ორპოლუსიანობის დაძლევის გზა სამპოლუსიანობაზე გადასვლაა. მესამე პოლუსი უნდა იყოს პატარ-პატარა პარტიების ერთობლიობა.

– ამ პროცესში როგორი შეიძლება იყოს გიორგი გახარიას როლი, მიუხედავად იმ განცხადებისა (არც ერთს მხარს არ დავუჭერო), რომელიც გააკეთა?

– გახარიას ორი საფრთხე აქვს. ვისურვებდი, მან ეს საფრთხეები ადეკვატურად შეაფასოს. პირველი: კარგად გააცნობიეროს თავისი პარტიის წევრები, რომლებიც უკვე გავიდნენ საკრებულოში, ყველა გაჰყვება „ქოცებთან“ ჩახუტებაში?! ყველა მოისურვებს „ქოცების“ სატელიტობას?! რადგან, მისი განცხადება, არც ამას დაუჭერ მხარს და არც იმასო, ნიშნავს, დარჩნენ „ქოცებიო“. სხვათა შორის, ასე დაემართა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე ზურა ჯაფარიძეს. მერე მიხვდა, რომ შეცდომა იყო.

მეორე: ოპოზიციიდან გახარია თუ გვერდზე გადგება, სახელდახელოდ შეკრებილი ამომრჩევლის ძალიან დიდ ნაწილს დაკარგავს. შესაბამისად, შეიძლება, მომდევნო არჩევნებამდე პოლიტიკურად კონკურენტუნარიანი ვეღარც კი აღმოჩნდეს. ამის საპირისპიროდ კი შეუძლია, ოპოზიციასთან საერთო თანამშრომლობით ზოგიერთი ქალაქის საკრებულოში საკრებულოს თავმჯდომარეც კი მისი პარტიიდან იყოს, იყვნენ მოადგილეები, კომისიის თავმჯდომარეები. ცხადია, აღმასრულებელ ნაწილშიც ჰყავდეთ წარმომადგენლები.

ერთი სიტყვით, არჩევნების პირველ და მეორე ტურებს შორის გახარიას ოპოზიციური ლეგიტიმაციის პროცესი მიმდინარეობს. საინტერესოა, გახარია ბოლო მომენტში თავის ამომრჩეველს რას შესთავაზებს.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ამ კოალიციურ ერთობაში ანა დოლიძის პოზიცია, რომელიც ძალიან სწორია.

– თბილისში რამდენად იმედიანად შეიძლება იყოს ოპოზიცია?

– ძალიან დიდია ჩამორჩენა, მაგრამ ოპოზიციას აქვს გამარჯვების შანსი საერთო ორგანიზების პირობებში. ასევე, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რამდენად კონცენტრირებული იქნება ნაციონალური მოძრაობა თავისი კანდიდატების გამარჯვებაზე. ვიმეორებ, ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

„ხელისუფლება სააკაშვილს აქ მანამდე ამყოფებს, სანამ თვითონ დასჭირდება“

გიგა ბუკია: „როცა რომელიმე ერთმმართველ ხელისუფლებას ჰგონია, ყველაფერი დავალაგეო, მაშინ იწყება მოულოდნელი პროცესები“

მარიამ მჭედლიშვილი

„ქართული ოცნების“ ლიდერები თავს თავდაჯერებულად გრძნობენ და მტკიცე გამარჯვებაზე საუბრობენ. რა ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ? ამაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს გიგა ბუკიას.

– „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ მმართველმა პარტიამ ამ არჩევნებში „რეფერენდუმიც“ მოიგო და სააკაშვილიც დააკავა. მათი თქმით, ეს იმას ნიშნავს, რომ 2024 წლამდე ქვეყანაში სტაბილურობა და სიმშვიდე გარანტირებულია. მართლაც ასეა საქმე?

– ჯერ კონკრეტულ მომენტს შევეხები. ამ პერიოდისთვის ხელისუფლებამ, პრინციპში, შეასრულა ის, რაც დაგეგმილი ჰქონდა – არჩევნებში მიიღო იმდენი ხმა, რამდენიც ესაჭიროებოდა. ამას დიდად შეუწყო ხელი მესამე პრეზიდენტისა და ნაცმოძრაობის ფაქტობრივი ლიდერის, სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლამ. თუ გახსოვთ, წინა ინტერვიუში გითხარით, თუ დასჭირდა, „ქართული ოცნება“ სააკაშვილს თვითმფრინავს თვითონ გაუგზავნის-მეთქი. თვითმფრინავით ჩამოვიდა თუ გემით, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტია, რომ ეს ადამიანი ჩამოვიდა და ამ ნაბიჯით იმოქმედა არჩევნების შედეგზე.

– სხვა დროსაც გითქვამთ, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთს ასაზრდოებენ.

– ეს ასეა. დარწმუნებული ვარ, აქედან შესაბამისი სამსახურების მეშვეობით სააკაშვილს უკრაინაში ჩააწვეთეს, რომ საქართველოში შემოსვლას შეძლებს. მართლაც, ეს ადამიანი თავისუფლად შემოვიდა და ცოტა ხანს ქვეყანაში თავისუფლადაც იარა. შემთხვევითი არაა, რომ იგი არჩევნების წინა საღამოს, 1 ოქტომბერს დააკავეს. ასეთი დამთხვევებისა არ მჯერა. „ქართულ ოცნებაში“ წინასაარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას მიხვდნენ, რომ უჭირდათ 43%-იანი ბარიერის გადალახვა. ჩამოვიდა სააკაშვილი და ბარიერი გადაილახა. პატარა პარტიებს ხმები მოაკლდათ, „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას მოემატათ. ამ ქმედებებით ხელისუფლებამ ორი კურდღელი დაიჭირა. ჯერ ერთი, დღის წესრიგიდან მოიხსნა რეფერენდუმისა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თემა და მეორე – მცირე პარტიებმა გამანადგურებელი შედეგი მიიღეს. შენარჩუნდა ორპოლუსიანი რეალობა. ამ მომენტისათვის გამარჯვებას მიაღწიეს, მაგრამ, რა იქნება შემდეგ, ეს არავინ იცის.

– „ქართული ოცნების“ პოზიცია არც ისე მყარია?

– რასაკვირველია. არც ისეა საქმე, როგორც უნდათ, რომ გამოიჩინონ. როცა ერთმმართველობასა და ორპოლუსიანობას ამყარებ, როცა სხვა პარტიებს პირდაპირ ანადგურებ, როცა მცირედის დათმობაც არ გინდა, მომავალში ყველაფრის დათმობა მოგიწევს. ახლა პრობლემა არა აქვთ, თავს იწონებენ, მაგრამ ეს მუდმივად ვერ გაგრძელდება.

– სააკაშვილის ციხეში ყოფნა მცირე პრობლემა მაინც არ არის ხელისუფლებისთვის? მისი გათავისუფლების მოთხოვნით აქციები იმართება და ანონსდება.

– სააკაშვილი ციხეში „ოცნების“ თავისტკივილია. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ თავისტკივილისგან როგორღაც გათავისუფლდება. ჯერ ეს არ არის ისეთი მტკივნეული „ოცნებისთვის“. გავა დრო და „ოცნება“ ამაზე იფიქრებს. ამ მომენტისთვის ყველა გადართულია მეორე ტურზე. სააკაშვილის მხარდასაჭერად აქცია კი გაიმართა, მაგრამ ის მასშტაბური არ ყოფილა. წარმოიდგინეთ, ოპოზიციის ლიდერი, ყოფილი პრეზიდენტი რომ დაეკავებინათ შევარდნაძის ან სააკაშვილის დროს, რა ამბავი ატყდებოდა! ეს შეკრებები არ არის იმის შესაბამისი, რაც მოხდა. კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა, რომ ამ ეტაპზე ხალხი არ არის რევოლუციურად განწყობილი. ცვლილებები ბევრს უნდა, მაგრამ არა – რევოლუციური გზით. ხელისუფლება სააკაშვილს აქ მანამდე ამყოფებს, სანამ თვითონ დასჭირდება. ორპოლუსიანობა გასამყარებელი აქვთ. თუ ნახავენ, რომ ვადამდელი არჩევნები საბოლოოდ მოიხსნა, ალბათ, აღარ დასჭირდებათ სააკაშვილი.

– „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია აცხადებს, რომ, დიდი ალბათობით, თბილისის საკრებულოში ოპოზიციამ გაიმარჯვა. შესაბამისი საჩივრები გაყალბებასა და დარღვევებზე დაწერილია.

– იმისთვის, რომ სიმართლე გავარკვიოთ და ამას შეფასება მივცეთ, განცხადება არ კმარა. საჭიროა სამართლებრივი ნაბიჯები. ყველას გახსოვთ, რომ 2020 წლის არჩევნების შემდეგ ოპოზიცია ბევრს ყვიროდა გაყალბებაზე, მაგრამ სხვა ნაბიჯებს არ დგამდა, არც საპარლამენტო კომისიას აწვდიდა მასალებს. ახლაც თუ იმავეს იმეორებენ, ეს არასერიოზულია. ასეთი ოპოზიციის ხმაურისა ჩვენს საგარეო პარტნიორებსაც აღარ სჯერათ.

– გახარია აცხადებს, რომ მეორე ტურში არც ერთი პარტიის კანდიდატებს არ დაუჭერს მხარს. ამაზე რას ფიქრობთ? გახარიას შედეგს როგორ აფასებთ?

– გახარიამ საკუთარი ამომრჩევლის მიმართ პატივისცემა გამოხატა. მისი ამომრჩეველი, ვისაც უნდა, იმას მისცემს ხმას მეორე ტურში, ან არავის მისცემს. რაც შეეხება შედეგს, გახარიას პარტიას „საქართველოსთვის“ აქვს სტაბილური მესამე ადგილი. მან მიიღო სოლიდური შედეგი.

– მისთვის პოლიტიკურადაც მომგებიანია, არც ერთს არ დაუჭიროს მხარი?

– დიახ. ოპოზიცია მასზე ტყუილად ახდენს ზეწოლას. „ოცნებიდან“ ახალი წასულია და მას ვერ დაუჭერს მხარს. ვერც მელიას მომხრე გახდება, მელიასი, რომელიც ცდილობდა პარლამენტის შენობის შტურმს, როცა გახარია შს მინისტრი იყო.

– ბევრი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილს უკრაინაში დააბრუნებენ, იურისტები კი ირწმუნებიან, რომ უკრაინაში ექსტრადირებამდე კანონით მან რამდენიმე წელი აქ უნდა მოიხადოს მსჯავრი.

– როგორც გითხარით, ამწუთას ხელისუფლებისთვის მომგებიანია სააკაშვილის საქართველოში ყოფნა. შემდეგ – გადაწყვეტენ. სამწუხაროა, რომ ეს ხელისუფლებაც, სააკაშვილის მსგავსად, ანადგურებს ოპოზიციას. როცა სააკაშვილი იყო ხელისუფლებაში, მანაც მოშალა ოპოზიცია როგორც პარლამენტის შიგნით, ისე გარეთ. პარლამენტის შიგნით თავისი სატელიტები ჰყავდა და იმათ ეძახდა ოპოზიციას. 2011 წელს ჩვენი, ოპოზიციური „ექვსიანიც“ კი დაშალა. ანალოგიურად იქცევა ახლანდელი ხელისუფლებაც. ახლა უხარიათ, რომ ყველაფერი აწყობილი აქვთ. როცა რომელიმე ერთმმართველ ხელისუფლებას ჰგონია, ყველაფერი დავალაგეო, მაშინ იწყება მოულოდნელი პროცესები. სააკაშვილსაც 2011 წელს ყველაფერი ჩაკიწიკებულ-დავარცხნილი ეგონა, ეგონა, ოპოზიცია გავაფარჩაკეო, მაგრამ მალე ყველაფერი გადატრიალდა. პოლიტიკა მოულოდნელობებითა და სიურპრიზებით არის სავსე. ასე რომ, არავინ იცის, რა ხდება 2024 წლამდე. „ოცნებამ“ იცის, რომ არჩევნებზე მიღებული შედეგი დიდ ძალისხმევად დაუჯდა. ნიშნის მოგებითა და დაცინვით ვინმეზე ლაპარაკსაც არავის ვურჩევ. სააკაშვილის მოწინააღმდეგე ვარ, მაგრამ არასწორად მიმაჩნია, როცა მასზე ნიშნით მოგებით ლაპარაკობენ. მას თავისი ცოდვები ეყოფა. რადიკალიზმზე რომ ლაპარაკობენ მმართველ პარტიაში, თავიანთ მოქმედებებსაც დაუკვირდნენ. რადიკალიზმს „ქართული ოცნებაც“ არანაკლებად უწყობს ხელს.

„მხუთავი გაზით ან წყლის ჭავლით დავშლიდით რუსთაველზე სააკაშვილის 5.000-იან მიტინგს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დაააკავებდა. სააკაშვილს შეიძლება აღარ ახსოვდა, რომ პრემიერი გიორგი გახარია აღარაა და დღეს სახელისუფლო გუნდი ერთიანია, როგორც არასდროს. ბუნებრივად ისმის კითხვა, მაშინ რა აძლევდა სააკაშვილს წარმატების იმედს. რჩება უკმარისობის განცდა სააკაშვილის ჩამოსვლის ლოგიკური მიზეზის ძიებისას.

ვფიქრობ, რომ ამ კითხვაზე პასუხი საქართველოს უახლოეს ისტორიასა და ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნისას მათივე წარსულ გამოცდილებაში უნდა ვეძიოთ. ყველას კარგად გვახსოვს, რომ საქართველო იყო პირველი მერცხალი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში. იყო დიდი ენთუზიაზმი, მაგრამ არ გვეყო გამოცდილება და დამოუკიდებლობის მიღებიდან მალევე პირველი პრეზიდენტი მოვკალით. ამის შემდეგ, საქართველოში ჩამოვიდა უკვე ასაკში შესული შევარდნაძე, რომლის პრეზიდენტობის დროსაც, მათ შორის მხედრიონის აღვირახსნილობისა და ზღვარგადასული კორუფციის გამო, სახელმწიფო სრულიად დაკნინებული იყო. ამ ფონზე, 2003 წელს, იმუნიტეტდაქვეითებულ ქვეყანაში სააკაშვილმა და ნაციონალურმა მოძრაობამ ძალაუფლება ხელისუფლების გადატრიალების გზით, ქვების სროლით იოლად მოიპოვა. სახელმწიფო და ინსტიტუტები იმდენად იყო დაკნინებული, რომ შევარდნაძე უკვე პირადი უსაფრთხოების სამსახურსაც კი ვეღარ აკონტროლებდა.

ნაციონალურმა მოძრაობამ 9 წლის განმავლობაში ქვეყანას ყველანაირი უბედურება დააწია. ისინი ყველაფრის უფლებას აძლევდნენ თავს, ჩაიდინეს უამრავი დანაშაული, მათ შორის მიიტაცეს თითქმის ყველა მედიასაშუალება, რაც მათ ყველა წარუმატებლობის წარმატებად წარმოჩენის შესაძლებლობას აძლევდა. სააკაშვილი საკუთარ თავს უმღეროდა „მიშა მაგარიას“ და თავისი სიცრუე თავადვე დაიჯერა. სინამდვილეში კი, „ნაციონალური მოძრაობა“ არის კრიმინალური მიდრეკილებების მქონე ხელმოცარული ადამიანების ჯგუფი, რომელსაც არაფრის სწორად დაგეგმვა და მართვა არ შეუძლია. სწორედ ამაშია ძაღლის თავი დამარხული.

სააკაშვილმა საქართველოში ჩამოსვლა და ხელისუფლების გადატრიალება ზუსტად ისეთივე „წარმატებით“ დაგეგმა, როგორი „წარმატებითაც“ თავის დროზე ქვეყანას მართავდა. ასეთია მისი გუნდიც, ნაციონალური მოძრაობაც და სწორედ ამიტომ იქცა მათი 9-წლიანი სახელისუფლებო და 9-წლიანი ოპოზიციური საქმიანობა წარუმატებლობის 18-წლიან ისტორიად. ამასთან, მათ ვერც ის გაითვალისწინეს, რომ 2003 წლის დაკნინებული სახელმწიფო ინსტიტუტების ნაცვლად, დღეს მათ კარგად ორგანიზებული სახელმწიფო ინსტიტუტები დახვდათ. ეგონათ, რომ მარტივად შეძლებდნენ გეგმის განხორციელებას. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ისინი თავისივე სიცრუის მსხვერპლი გახდნენ.

უკვე წლებია, ნაციონალური მოძრაობა და მისი პროპაგანდისტული პარტიული ტელევიზიები ცდილობენ დაამკვიდრონ ყალბი აღქმა „ჩამოშლილი სახელმწიფოს“ შესახებ და ეს ტყუილი, აშკარაა, რომ თავადვე დაიჯერეს. სინამდვილეში, „ჩამოშლილი სახელმწიფოს“ ნაცვლად, სააკაშვილს საქართველოში კარგად ორგანიზებული სახელმწიფო სისტემა დახვდა. სწორედ ამ ყველაფრით აიხსნება სააკაშვილის ფსიქიკური მდგომარეობის რადიკალური ცვლილებაც ციხეში შესვლამდე და ციხეში შესვლის შემდეგ – გაღიმებული შევიდა ციხეში და ახლა არაფერი ადარდებს გარდა იმისა, რომ როგორმე ციხიდან გამოვიდეს“, – ნათქვამია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ღია წერილში.

„სააკაშვილს ციხეში არანაირი პრობლემა არ ექნება“

დათო ლორთქიფანიძე: „სააკაშვილს გარანტიები საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისი სამეგობროდან აქვს მიღებული“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

– პატონო დათო, როგორ შეხვდით სააკაშვილის დაპატიმრებას?

– მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცნობ სააკაშვილის ფსიქოლოგიას, რატომღაც მისი პირველი განცხადებებიდან მოყოლებული, ვფიქრობდი, რომ ჩამოვიდოდა. ამაში დარწმუნებული ვიყავი და ჩამოვიდა კიდეც.

– რა გარწმუნებდათ, რომ ჩამოვიდოდა?

– წინათგრძნობა მქონდა, რომ ის აუცილებლად ჩამოვიდოდა. ამის თაობაზე ბევრ მის მოწინააღმდეგე ადამიანთან ნაძლევიც მაქვს მოგებული. ისინი ამბობდნენ, არ ჩამოვა, შეეშინდებაო. მე ვამბობდი, აუცილებლად ჩამოვა-მეთქი. ასეთი განცდა მქონდა.

დარწმუნებული ვარ, მიხეილ სააკაშვილი გარკვეული გარანტიების გარეშე ამ ნაბიჯს არ გადადგამდა. მიშას გარანტიები მიღებული აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ მისი სამეგობროდან. პოლიტიკურ სპექტრს ვგულისხმობ. კერძოდ, სახალხო პარტიისაგან, რომელიც ნაცმოძრაობის მხარდამჭერია და ევროპარლამენტში სერიოზული გავლენები აქვს. სააკაშვილი მათგანაა შეგულიანებული. ის დაარწმუნეს, რომ ახლა საქართველოში ისეთი მდგომარეობა იყო, მისი ჩამოსვლა ხელისუფლებას შეარყევდა და „ოცნების“ ხელისუფლება ჩამოიშლებოდა. სააკაშვილმა აქ დაუშვა შეცდომა.

– ვიცით, რომ სააკაშვილი ევროპაში გარანტიებს ეძებდა. ცნობილ ევროპარლამენტარებსაც შეხვდა, რომლებიც ურჩევდნენ, პროვოკაციაზე არ წამოსულიყო და საქართველოში არ გამომგზავრებულიყო.

– ზოგი ურჩევდა, არ გამომგზავრებულიყო, ზოგი, ალბათ, ურჩევდა, ჩამოსულიყო. არ გამოვრიცხავ, ზოგმა ერთი რაღაც უთხრა შეხვედრაზე და მეორე განაცხადა ჟურნალისტებთან. პოლიტიკა თამაშია. სააკაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, მთავარი როლი შეესრულებინა საქართველოს „გათავისუფლებაში“.

– სააკაშვილის მომხრეები ამბობენ, რომ ის პოლიტიკური პატიმარია. თქვენ რა გრძნობა გეუფლებათ, როცა ასეთ განცხადებებს ისმენთ?

– მიშა პოლიტიკური პატიმარი ვერ იქნება. მასზე განაჩენია გამოტანილი. მას მისჯილი აქვს საპატიმრო ღონისძიება. გარდა ამისა, მის მიმართ ორ საქმეზე მიმდინარეობს სასამართლო განხილვა, კერძოდ, „იმედის“ დარბევასა და რამდენიმე მილიონის გაფლანგვაზე.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამნეზია არავის გვჭირს. ყველას კარგად გვახსოვს, ნაცრეჟიმის დროს რა ხდებოდა. შეიძლება, ვიღაც პოლიტიკურად აქტიური არ ყოფილიყო, მაგრამ ამ ქვეყანაში ცხოვრობდა, მაგრამ, ყველამ კარგად იცის, რომ სააკაშვილის ძალოვანი სტრუქტურები მასთან შეთანხმების გარეშე ნაბიჯსაც არ დგამდნენ.

ყველას ახსოვს ის უბედურებები, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებამ დაატრიალა, 170-მდე ახალგაზრდაა ქუჩაში ჩახოცილი. სამწუხაროდ, ქუჩაში ჩახოცილი ბიჭების ზუსტი რიცხვი დღემდე არ არის დადგენილი. ვფიქრობ, ნაცხელისუფლებამ 170-ზე მეტი ახალგაზრდა მოკლა ქუჩაში. ამას კომპეტენტური ადამიანები ამბობენ. არ მაქვს საფუძველი, მათ არ დავუჯერო.

600-ზე მეტი ადამიანი საპატიმრო ადგილებშია ჩახოცილი. სააკაშვილი ყველა უბედურების შემოქმედი ხელისუფლების პირველი პირი იყო კონსტიტუციურად და რეალურად.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მხოლოდ ის არის საკმარისი, რაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დაგვემართა, 150 სოფელი დავკარგეთ, სააკაშვილმა კი ქვების გროვა უწოდა იმ ტერიტორიებს, რომლებიც დროებით, მაგრამ დღეს რუსეთის მიერ არის ოკუპირებული.

– ალბათ, ევროპულ სასამართლოში იჩივლებენ.

– თუ ისინი საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებიან, ევროპული სასამართლოს გზა ძალიან კარგად იციან. დარწმუნებული ვარ, ისინი ამ გზას დაადგებიან. 2008 წელს ნაცებმა მოგებული მაჟორიტარული არჩევნები გამიყალბეს ღამის 11-12 საათის ინტერვალში, რაც გავაპროტესტე და სასამართლოში გავასაჩივრე, მაგრამ სტრასბურში წასასვლელი გზა გადამიკეტეს.

– როგორ გადაგიკეტეს?.

– მათ ქართული სასამართლოს ბოლო ინსტანციის გადაწყვეტილება სამი წლის შემდეგ მომცეს. საქმე უნდა გამესაჩივრებინა სტრასბურის სასამართლოში. სასამართლო დავები სამი დღის ვადაში უნდა დასრულებულიყო, სამი დღის ვადაში დასრულდა, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილება სამი წლის შემდეგ მომცეს და დამნაშავედ მე გამომიყვანეს.

– როგორ?

– გამამტყუნეს, თითქოს მე არჩევნები კანონზომიერად წავაგე. რა თქმა უნდა, ასე არ იყო. ოქმებში სისულელეები ჰქონდათ გადაწერილი, სხვა უბნებზე დაწერილი ოქმები ჰქონდათ გამოყენებული სხვა უბნების ოქმებში. დაწერეს, რომ უბნებზე ოქმები გამოელიათ. წარმოიდგინეთ, რა დონეზე გააყალბეს. ჩემგან განსხვავებით, მათ სასამართლოს გადაწყვეტილებას ნამდვილად არ დაუგვიანებენ, მეორე დღესვე მისცემენ ბეჭედდასმულ გადაწყვეტილებას, რომელსაც სტრასბურში გაასაჩივრებენ. ეს არის სამართლებრივი სახელმწიფოს მთელი ანატომია. თუ საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უკანონო და ტენდენციური იქნება, რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფო ამისთვის პასუხს აგებს.

დარწმუნებული ვარ, მიხეილ სააკაშვილი მართლმსაჯულების წინაშე წარდგენას იმსახურებს.

– ევროპიდან და ამერიკიდან გაისმა მოწოდება, რომ მიხეილ სააკაშვილი ციხეში ნორმალურ ვითარებაში იყოს და მისი უფლებების შემლახავ მოქმედებებს ადგილი არ ჰქონდეს. ეს რას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ახსოვთ, სააკაშვილის დროს ციხეებში რა ხდებოდა. მინდა, ისინი დავამშვიდო, საქართველოს ციხეებში მსგავსი დანაშაულები, მსგავსი სადიზმი, ადამიანის უფლებების უგულებელყოფა და წამება აღარ ხდება, რაც ნაცმოძრაობის ხელისუფლების დროს ხდებოდა. ეს ჩვენი ხელისუფლების დამსახურებაა. ასე რომ, ჩვენი კანონმდებლობიდან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილს ციხეში არანაირი პრობლემა არ ექნება.

– გინდათ თქვათ, რომ კომფორტულად იქნება?

– მისი პერიოდის ციხესთან შედარებით, კომფორტულად იქნება. მეტიც, მისი პერიოდის ციხეებში ერთ საკანში 30-50 პატიმარი იყო, პატიმრებს დასაწოლი ადგილი არ ჰქონდათ, მონაცვლეობით იძინებდნენ, ღამის საათებში უპრაგონოდ აღვიძებდნენ და ადამიანებს ფსიქიკურად არყევდნენ, პატიმრებს სამი დღე გვამებზე აბამდნენ, რომ გამოეტეხათ და სასურველი ჩვენებები მიეღოთ. ამ გადმოსახედიდან მიშა სამოთხეში იქნება.

მის პერიოდში არსებული ციხისაგან განსხვავებით, ახლა მიშას საპატიმრო ადგილი ნამდვილად სამოთხეა და იმ ბრალდებებს, რომლებსაც წაუყენებენ, ადეკვატური პასუხი უნდა გასცეს.

– სააკაშვილის მომხრეებს იმედი აქვთ, რომ მიხეილ სააკაშვილს მალე გაათავისუფლებენ, ნახავთ, მალე უკრაინის სახელმწიფოს მოთხოვნით მიშა გათავისუფლდება, მისი უკრაინაში ექსტრადირება მოხდებაო. ზელენსკის განცხადება მოვისმინე, რომ ის თავის მოქალაქეებს ყველგან პატრონობს.

– საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ექსტრადირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირს თავის ქვეყანაში სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი. თუკი მიხეილ სააკაშვილს თავის ქვეყანაში ანუ უკრაინაში (რადგან ახლა უკრაინის მოქალაქეა) სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი და უკრაინული მხარე მის ექსტრადირებას მოითხოვს, ეს მსჯელობის საგანი იქნება.

– უკრაინიდან სააკაშვილმა უკანონოდ გადმოლახა საზღვარი. იმაზე დიდი სკანდალი რა არის, როცა სახელმწიფო მაღალი თანამდებობის პირმა, რეფორმების ცენტრის დირექტორმა და პრეზიდენტის მრჩეველმა საზღვარი უკანონოდ გამოკვეთა, მეორე ქვეყანაში უკანონოდ შემოვიდა და დააპატიმრეს.

– მაგაში მიშა ძალიან გაწაფულია, მაგრამ წამოსვლის წინ დააანოსა, რომ თანამდებობა დატოვა. მგონი, ეს სპეციალურად გააკეთა. ყოველ შემთხვევაში, საქმე ძალიან „მარტივადაა“. ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს იმ ადამიანებთან, რომლებსაც მიშამ დიდი ტკივილი მიაყენა, მათ ოჯახებში ტრაგედია დაატრიალა.

დაახლოებით 17 წელზე მეტია, ერთად მოვდივართ, ერთად ვიდექით აქციებზე. ესენი არიან: რობაქიძე, გამცემლიძე, კრიალაშვილი, ოთანაძე, თეთრაძე და სხვები. ჩემი სტატუსიდან გამომდინარე, ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს ამ ხალხთან, მათი ოჯახის წევრებთან.

ორი დღის წინ ბუტა რობაქიძის მამასთან, სოსო რობაქიძესთან, პრესკლუბ „კვირაში“ ვიყავი პრესკონფერენციაზე. ეს ადამიანები წკიპზე არიან. თუ მიხეილ სააკაშვილს მისჯილზე ადრე გაათავისუფლებენ, ეს ხალხი გრანდიოზულ აქციებს ორგანიზებას გაუკეთებს და ქუჩაში ასეულათასობით ადამიანი გამოვა. სიმართლე გითხრათ, მე მათ პოზიციას ვიზიარებ და მზად ვარ, ამ ადამიანებთან ერთად ჩემი ფასეული სიტყვა ვთქვა მართლმსაჯულების უგულებელყოფის წინააღმდეგ.

– თუმცა სააკაშვილის მომხრეებმა დაგასწრეს და მისი გათავისუფლების მოთხოვნით ციხესთან აქციები გამართეს.

– არა უშავს. გასაგებია, რომ ქვეყანაში არის პრობლემები, მაგრამ დაუნახაობაც არ შეიძლება. დემოკრატიაა და მათ აქვთ უფლება, აქციები გამართონ. მიხეილ სააკაშვილი ზოგი მათგანისთვის ღმერთია, ზოგისთვის მესიაა, ზოგისთვის განუმეორებელი მენეჯერია, ზოგისთვის – უფროსი, ზოგისთვისაც – მხსნელი. ამიტომ ამ ადამიანებს არ უნდა შეეზღუდოთ უფლება, თავიანთი აზრი გამოხატონ, მაგრამ აქვე იმ ადამიანებსაც აქვთ უფლება, მოითხოვოთ რეჟიმის შემოქმედების გასამართლება, რომლებსაც რეჟიმმა გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენა.

თუ სააკაშვილი ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთხელ აუფრიალებს წითელ ნაჭერს, არ ვარ დარწმუნებული, რომ აქ კარგი რამეები მოხდება.

– სააკაშვილისთვის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევასთან დაკავშირებით ბრალის წაყენებას ელოდებით?

– ყველას გვახსოვს 2008 წლის აგვისტოს დასაწყისი და მისი ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები, გვახსოვს მინისტრების, ქალაქის მერის სამხედრო სარდლობა გორში, გვახსოვს პრეზიდენტისა და უშიშროების საბჭოს მდივნის ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები. ამიტომ, არ არის გამორიცხული, ეს საკითხიც ფსკერიდან ზემოთ ამოვიდეს და მის მიმართ კითხვები დაისვას.

„სააკაშვილი იმიტომ ჩამოვიდა, რომ ივანიშვილისთვის მაგიდა აეყირავებინა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლოდ. მივიდნენ და რაღაც უღიმღამო აქცია გამართეს.

– უფრო ფორმალური სახე ხომ არ ჰქონდა ამ ყველაფერს, ვიდრე მწვავე პროტესტის?

– ზუსტად მაგას ვამბობ, აბსოლუტურად უგულოდ და უღიმღამოდ ჩაატარეს ეს ყველაფერი.

– შეიძლება ითქვას, რომ მიშა აღარ სჭირდება ნაციონალურ მოძრაობას? ასევე ბევრს საუბრობენ ნიკა მელიასა და სააკაშვილის დაპირისპირებაზე. მელიას ჩასაჩოჩებლად ჩამოვიდაო.

– არა მგონია, ამხელა რისკი იმისთვის გაეწია, რომ მელია ჩაეჩოჩებინა. ნამდვილად არა მგონია. ჩამოვიდა იმიტომ, რომ მაგიდა აეყირავებინა ივანიშვილისთვის. მელიაც კარგად ხვდება, რომ მიშას გარეშე პარტიას რეიტინგის ნახევარი მინიმუმ დაეკარგება. ორი ვარიანტი იყო ნაცმოძრაობისთვის, ერთი – დარჩენილიყო ასე მიშას რეიტინგზე ჩამოკიდებული და მეორე – მოეხდინათ საკუთარი თავის სერიოზული რეფორმირება. ფაქტია, მიშას რეიტინგი არსებობს და, ამავე დროს, ამას მოჰყვება მიშას დიდი ანტირეიტინგი. ამიტომაც ვუყურებთ იმას, რაც ხდება ბოლო წლებში.

– რა ბედი ელის მიხეილ სააკაშვილს?

– მინიმუმ მეორე ტურამდე რომ ციხეში იჯდება, გასაგებია. მინიმუმს ვამბობ. მეორე ტურამდე მას რომ არავინ გამოუშვებს, ფაქტია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ გაუძლებს ციხეს. თუ ვაჟკაცურად გაუძლებს, ხელახლა დაიბადება, როგორც პოლიტიკური ლიდერი, ხოლო თუ ვერ გაუძლებს და ის დაემართება, რასაც ახლა ღარიბაშვილი ამბობს, მაშინ ეს ცუდად დასრულდება მისთვის.

– რამდენად რეალურია ის, რასაც ღარიბაშვილი აცხადებს?

– ადამიანი ციხეშია და არ მინდა ამ თემაზე კომენტარი. მისნაირი ჰიპერაქტიური ადამიანისთვის რომ არ იქნება ციხეში ჯდომა იოლი, ფაქტია.

– წინ მეორე ტური გვაქვს. რას ელოდებით?

– თბილისში მაინც კალაძის გამარჯვებას ველოდები, დასავლეთ საქართველოში კი გაუჭირდება „ოცნებას“. რეგიონებში „ოცნების“ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოიკვეთა. სამეგრელოში ეს არც იყო გასაკვირი. იქ ყოველთვის უყვარდათ მიშა სააკაშვილი. აჭარაშიც გასაგებია მიშას რეიტინგი. რაც მან ბათუმში გააკეთა, გადაჰყვა აჭარას. ასე რომ, ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება. მიშას რაც შეეხება, ის, სულ მცირე, მეორე ტურამდე იჯდება, მერე, ალბათ, მიუსჯიან რაღაცას და გაუშვებენ უკრაინაში. აქ მისი ციხეში ყოფნა სერიოზული თავისტკივილია ხელისუფლებისთვის, არ აწყობთ არანაირად.

„თბილისში ოპოზიციისთვის ხელის გადაგრეხა არც ისე მარტივია“

– გახარიას როლი ამ არჩევნებში? კობახიძე ამბობს, ხელი შეგვიშალა და ბოლივით აორთქლდაო. ასეა?

– ფაქტია, რომ შეუშალა ხელი, ეძახოს ბოლი, თუ უნდა. დღეს ბათუმის საკრებულო გახარიას ხელშია. რასაც მე ვუყურებ, მასზეა დამოკიდებული. გაცილებით მეტს აიღებდა, სააკაშვილი რომ არ ჩამოსულიყო. მას ორივე მხრიდან დაარტყეს. ამიტომ არ დაფიქსირდა მისი ორნიშნა რეიტინგი.

„ახლა გამოჩნდება, ვინ არის რეალური ოპოზიცია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ტიამ სისუსტე გამოავლინა და ამის გამო ჩაიწერა იქ 43% და არა 50%. რამდენჯერ გვისაუბრია ამაზე – ვინმე ჭკუათმყოფელმა ახსნა, საიდან მოვიდა რიცხვი „43“?! რომელიმე დემოკრატიულ ქვეყანაში ყოფილა ასე, თუ 43%-ს არ მივიღებ, მაშინ ლეგიტიმური არ ვარ და, თუ მივიღებ, მაშინ ვარო?! თუ მოსახლეობის 50%-ზე ნაკლები გიჭერს მხარს, მაშინ ლეგიტიმური არ ხარ, მით უმეტეს, თუ 50%-ზე მეტი გეუბნება, ჩაატარე ვადამდელი არჩევნებიო, მაშინ ის უნდა ჩაატარო. ეს არის დემოკრატიის ანბანი. დემოკრატიაში მთავარი უმრავლესობის ნებაა.

ამის მიუხედავად, რა ვითარებაც შეიქმნა, ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას, იმიტომ, რომ დავინახეთ, 2020-ის არჩევნების შემდეგაც კი მნიშვნელოვნად შეიცვალა ვითარება და ბევრი ფაქტორია ამის. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი კი მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ყოფნაა. ბევრმა ადამიანმა დაინახა, რომ მთლად ისე არ არის, როგორც ძალიან ბევრს ჰგონია. ამბობდნენ, რომ პოლიტიკოსის სიტყვას ფასი არ აქვს, რაღაცას დაგპირდება და არ შეგისრულებს, მარტო თავის კეთილდღეობაზე ზრუნავს. მიხეილ სააკაშვილმა ეს სტერეოტიპები დაანგრია. ყველას აჩვენა, როგორ შეიძლება სამშობლოსთვის თავის დადება, არა მარტო თავისუფლების, არამედ სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენებაც. ის ამწუთასაც სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებს და მას იქამდეც არანაირი გარანტია არ ჰქონდა, რომ ეს პუტინისტური რეჟიმი მის ლიკვიდაციას არ მოახდენდა.

– ამ ყველაფრის მიუხედავად, ხართ ოპოზიცია ერთიანი, შემოგიერთდებიან იმ აქციებზე, რომლებიც ახსენეთ?

– ვინც არის ერთიანი, ის იქნება ერთიანი. გამოჩნდება შავი და თეთრი. ოპოზიცია ნიშნავს ხელისუფლების ოპონენტებს. ვინც ხელისუფლების ნამდვილი ოპონენტია, რაც არ უნდა განსხვავებები გვქონდეს, ის ხელისუფლების ოპონენტი იქნება.

– მაგრამ, უნდათ მიშას ირგვლივ გაერთიანება?

– ვინ ამბობს, რომ მიშას ირგვლივ უნდა მოხდეს გაერთიანება?!

– ბუნებრივად ჩნდება ეს ვერსიაც.

– ბუნებრივად ჩნდება ის, რაც არის ბუნებრივად – უნდა გავერთიანდეთ სახელმწიფო ინტერესების და არა რომელიმე პიროვნების გარშემო.

– როდიდან იწყებთ აქციებს?

– ერთი გვქონდა და უახლოეს პერიოდში კიდევ გვექნება.

– პერმანენტულს გეგმავთ თუ ისევ ერთდღიანი იქნება?

– პერმანენტულში იმას თუ გულისხმობთ, რომ ვიღაცა იჯდეს იქ... ამას არ აქვს მნიშვნელობა, ასეთი იქნება თუ ისეთი. ჩვენი მოქმედება და ბრძოლაა პერმანენტული. ვიღაცის პერმანენტულ ჯდომას განსაკუთრებულ ყურადღებას რომ არ აქცევენ, ესეც ვიცით. კლოუნადა ხომ არ არის, რომ ვიღაცა სადღაც ზის და თურმე ეს არის პერმანენტული ბრძოლა. პერმანენტული ბრძოლა უნდა იყოს და არა ვიღაცის სადღაც ყოფნა პერმანენტულად.

თქვენ რაც მკითხეთ ოპოზიციის ერთიანობაზე, ახლა გამოჩნდება, ვინც არის ოპოზიცია და ამ რეჟიმის მოწინააღმდეგე. რაც არ უნდა განსხვავებები გვქონდეს, ისინი აუცილებლად იპოვიან გზას, რომ ქვეყანა ვიხსნათ ამ პუტინისტური რეჟიმისგან, რაც ყველა ღიად ოპოზიციონერის ამოცანაა და, ვინც ამ ერთობას არ შეუერთდება, ის თავად მოახდენს თვითლუსტრაციას, გამოჩნდება, რომ ოპოზიციაა სიტყვით, საქმით კი ხელისუფლების მომხრეა.

„სააკაშვილი მზადაა, ციხეში ჩააბაროს ნარკოტესტი, ღარიბაშვილმა კი კანცელარიაში ჩააბაროს“

ადვოკატ ბასილაიას განცხადება

– მზად ვართ, ტელეკამერების თანდასწრებით არა ვენაში ან სამხარაულის კლინიკაში, არამედ ამ დაწესებულებაში ჩავაბაროთ ნებისმიერ ნარკოტიკზე ტესტი.

ამის შესახებ გუშინ, 6 ოქტომბერს, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა ბექა ბასილაიამ რუსთავის მე-12 პენიტენციარული დაწესებულების დატოვების შემდეგ განაცხადა, სადაც მიხეილ სააკაშვილს შეხვდა.

ბასილაია ასევე მოუწოდებს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, რომ ნარკოტესტი მანაც მთავრობის ადმინისტრაციაში ჩაიტაროს.

– მიხეილ სააკაშვილი არის მხნედ და ბრძოლისთვის განწყობილი. მინდა მივმართო სრულიად ქართულ საზოგადოებას, არ აჰყვეთ ღარიბაშვილის ამ ენაჭარტალა ჭორებს. მთელი წლების მანძილზე გვინახავს მიხეილ სააკაშვილი ველოსიპედზე, ცურვისას და თხილამურებზე, უაღრესად ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობდა მთელი ცხოვრების მანძილზე. მზად ვართ ტელეკამერების თანდასწრებით არა ვენაში, ან სამხარაულის კლინიკაში, არამედ ამ დაწესებულებაში ჩავაბაროთ ნებისმიერ ნარკოტიკზე ტესტი, დაწყებული მსუბუქი ნარკოტიკით, დამთავრებული ქიმიური ნარკოტიკებით. ამავდროულად, ღარიბაშვილთან გვექნება „ჩელენჯი“, რომ კანცელარიაში ჩააბაროს ტესტი და ამის შემდეგ ეს ენაჭარტალა კაცუნა რას ილაპარაკებს, მოვისმენთ, – აღნიშნა ბექა ბასილაიამ.

მისივე ინფორმაციით, სააკაშვილი შიმშილობას აგრძელებს, თუმცა ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო მეტ ძალას მატებს.

– მიხეილ სააკაშვილი ძალიან მხნედ არის, როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად. შიმშილობას აგრძელებს და მისი ეს პრინციპული გადაწყვეტილება კიდევ უფრო მეტ ძალას მატებს, – აღნიშნა ბექა ბასილაიამ.

მისი განცხადებით, სააკაშვილის ციხეში ყოფნა არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, შესაბამისად, სამართლებრივი საკითხები წინა პლანზე ფიზიკურად არ არსებობს. ამასთან, ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლებამ სააკაშვილის ნახვა შეუზღუდოს, რათა მისი მესიჯები ვეღარ გააჟღეროონ.

– ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ სააკაშვილის ციხეში ყოფნა არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. შესაბამისად, აქ სამართლებრივი საკითხები წინა პლანზე ფიზიკურად არ არსებობს. როცა პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილის დავალებით წყვეტს, შეუზღუდონ თუ არა ზარები, რა სამართლებრივ პროცედურებზე ვსაუბრობთ. რაც შეეხება მიხელ სააკაშვილთან შეხვედრებს, მას შევხვდებით დღესაც, ხვალ და ყოველთვის. თუ მაგარი ბიჭები არიან, დანიშნონ სასამართლო პროცესები. უფრო მეტიც, წაუყენონ საზღვრის კვეთაზე ბრალდება, რატომ არ უყენებენ?

იმ საწყალ ხალხს რომ უყენებენ, როგორც ზვიად გამსახურდიას მომხრეებს დასდევდა ხუნტა, ისე რომ დასდევენ წოწორიებს, ცომაიებს და სხვებს. საზღვრის კვეთაზე იმიტომ არ უყენებენ ბრალდებას, რომ მერე სასამართლო პროცესის ჩანიშვნა მოუწევთ და ეშინიათ სააკაშვილის სასამართლო დარბაზში გამოჩენის – ეს არის სიმართლე.

რეალურად, არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არის ზარების შეზღუდვის, მაგრამ ხელისუფლება იმდენად არის დაპანიკებული უკვე სააკაშვილის საქართველოში ყოფნით, რომ არ გამიკვირდება ადვოკატებსაც შეგვიზღუდონ ნახვა, რათა მისი მესიჯები არ გავაჟღეროთ, – აღნიშნა ბექა ბასილაიამ.

გუშინვე მიხეილ სააკაშვილმა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურის უფროსს ნარკოტესტის ჩატარების თაობაზე ოფიციალურად მიმართა.

ამის შესახებ მისმა ადვოკატმა, ნიკა გვარამიამ რუსთავის ციხის დატოვების შემდეგ ისაუბრა.

– მე არც ვუპასუხებდი მის ადგილზე ღარიბაშვილს, მაგრამ ეს მისი გადაწყვეტილებაა, ის მზად არის, ნებისმიერი ტესტი ჩაიტაროს, – თქვა ნიკა გვარამიამ.

როდის ჩაიტარებს მიხეილ სააკაშვილის ნარკოტესტს, ამას ციხის ადმინისტრაცია გადაწყვეტს.

„ყველას დიდ სიურპრიზს ვუმზადებ“

ვახტანგ ჩარკვიანის მამა შვილის გარდაცვალებაზე გამოძიების დაწყებას ითხოვს

კორონავირუსით გარდაცვლილი 20 წლის ფეხბურთელის ვახტანგ ჩარკვიანის მამა, ადვოკატი გაიოზ ჩარკვიანი, მისი შვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებას ითხოვს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ჩარკვიანმა განუცხადა, მას არაერთი მტკიცებულება მოეპოვება, რომლებიც შვილის გარდაცვალების მიზეზებთან კავშირშია. მისივე თქმით, მტკიცებულებებს შორის არის კლინიკიდან შვილის მიერ გამოგზავნილი როგორც აუდიოფაილები, ასევე – წერილები.

გაიოზ ჩარკვიანი აცხადებს, რომ ყველას, ვისაც კი მისი შვილის გარდაცვალებასთან კავშირი აქვს, წინ „დიდი სიურპრიზი“ ელოდება. ის გენერალურ პროკურატურაში ირაკლი შოთაძეს გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართავს.

– საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 7 ოქტომბერს ბატონი ირაკლი შოთაძის სახელზე განცხადება შემაქვს, სადაც ვითხოვ 20 წლის ბიჭის, სპორტსმენის, ფეხბურთელის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებას. ობიექტურმა გამოძიებამ ჭეშმარიტება უნდა დაადგინოს, თუ რა მიზეზით

მოხდა ჩემი შვილის გარდაცვალება, უამრავი მტკიცებულება და ფაქტი მაქვს, რომელიც პროკურატურაში ჩემი და ოჯახის წევრების დაკითხვის დროს წარდგენილი იქნება. გამოძიებას ყველანაირად შევუწყობ ხელს, რათა ობიექტური ჭეშმარიტება დაადგინოს ჩემი შვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით. როცა დავიკითხები, პროკურატურამ მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და დაუყოვნებლივ ცნოს ჩემი ოჯახი დაზარალებულად.

ადვოკატთა ჯგუფია ჩემი შვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით ჩართული. ისინი გუნდური პრინციპით მუშაობენ, განვიხილავთ ყველა დეტალს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოში იქნება ჩასმული, მუშაობენ ასევე დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი ექიმები, რომლებიც აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სწორ დასკვნებს გამოიტანენ. როცა პროკურატურაში ჩემი ოჯახის წევრებს გამოკითხავენ, ამ მტკიცებულებებს წარვადგენთ, მედიის წარმომადგენლებსაც მოგაწვდით. ვინაიდან, ამ ეტაპზე დაკითხული არ ვართ, მტკიცებულებების შინაარსზე ვერ ვისაუბრებ, მე გახლავართ მოქმედი ადვოკატი, ჰაერზე სიტყვებს არასდროს ვამბობ.

ზოგიერთებს ძალიან დიდ სიურპრიზს ვუმზადებ, ისე, რომ წარმოდგენაც არ აქვთ, თუ რა სიურპრიზი ელოდებათ, მათ შორის მათ, ვისაც ჩემი შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რამე წვლილი აქვთ შეტანილი. კონკრეტიკისგან თავს ვიკავებ, სამართლებრივი ჭრილიდან არ გამოვდივარ, თუმცა, ყველა გაიგებს, რა მოხდა, – აცხადებს ჩარკვიანი.

კითხვაზე, უკავშირდება თუ არა მისი ეჭვები ექიმების მხრიდან ვახტანგ ჩარკვიანის მიმართ დაგვიანებულ, ან არასათანადო მკურნალობას, გარდაცვლილის მამა ამბობს, რომ „ყველა მიმართულებით მუშაობენ, მათ შორის, ამ მიმართულებითაც“.

– ვმუშაობთ როგორც სამედიცინო მიმართულებით, ასევე სამართლებრივი კუთხით. სისხლის სამართლის კოდექსში მოიპოვება შესაბამისი მუხლები, რომ ვინც დამნაშავეა, პასუხი აგოს. არსებობს უამრავი ჩანაწერი, უამრავი ფაილი, როგორც აუდიოჩანაწერი, ასევე მიმოწერებიც, მათ შორის, ჩემი შვილის მიერ გამოგზავნილი შეტყობინებები, – განაცხადა ჩარკვიანმა.

20 წლის ფეხბურთელი ვახტანგ ჩარკვიანი 10 სექტემბერს რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საძაგლიშვილი: „სააკაშვილს უთხრეს, რომ ციხის საწყობში ტელევიზორები არ აქვთ“

ადვოკატ დიმიტრი საძაგლიშვილის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განუცხადეს, რომ ტელევიზორები საწყობში არ აქვთ, რის გამოც მის საკანში ტელევიზორის დადგმა ვერ ხერხდება.

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილს როგორც ზარების განხორციელების, ასევე სასამართლო პროცესებზე დასწრების უფლება არ ეძლევა და მისი პროცესებზე დასწრებით ხელისუფლებას არ სურს, საზოგადოებამ იხილოს, რამდენად მედგრად და მტკიცედ არის მიხეილ სააკაშვილი.

– ეს კეთდება, რათა სააკაშვილს არ ჰქონდეს საზოგადოებასთან კომუნიკაციის შესაძლებლობა, ამ მიმართულებით ჩავაბარეთ წერილობითი განცხადებები და სისტემატიურად მოვთხოვთ სასამართლო ორგანოებს ჩანიშნონ პროცესები იმ საქმეებზე, რომელიც მიმდინარეობს სასამართლოში და ამ სხდომებზე მონაწილეობის საშუალება მიეცეს მიხეილ სააკაშვილსაც. ის გარემოება, რომ სასამართლოები არ ინიშნება მიუთითებს, რომ ხელისუფლებას არ სურს საზოგადოებამ იხილოს რამდენად მედგრად და მტკიცედ არის მიხეილ სააკაშვილი.

მას არ გააჩნია ტელევიზორი, განუცხადეს, რომ საწყობში არ არის ტელევიზორი და ამიტომ შეყოვნდა საკანში დადგმა. მსჯავრდებულს უფლება აქვს, საკანში ჰქონდეს ტელევიზორი, მაგრამ ასეთი ტექნიკური ხერხებით ცდილობენ შეაფერხონ, რომ მას არ ჰქონდეს საზოგადოებასთან წვდომა, – აღნიშნა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

ზურაბ ზვიადაურის ჯანმრთელობის მდგომარეობა ოპერაციის შემდეგ სტაბილურია

სოფელ წინანდლის ტყეში მომხდარი მკვლელობის საქმეზე დაკავებული ოლიმპიური ჩემპიონის ზურაბ ზვიადაურის ჯანმრთელობის მდგომარეობა ოპერაციის შემდეგ სტაბილურია.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ზვიადაურის ადვოკატი მაგდა კოტრიკაძე განმარტავს, ხერხემალზე ჩატარებული ქირურგიული ჩარევის შემდეგ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პენიტენციარულ დაწესებულებაში მალევე გადაიყვანეს.

– ზურაბ ზვიადაურს ჩაუტარდა ოპერაცია, ის ამ ეტაპზე პენიტენციარულ დაწესებულებაშია მოთავსებული, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი და სტაბილურია, – აცხადებს კოტრიკაძე.

შეგახსენებთ, წინანდალში 16 აგვისტოს 3 ადამიანი მოკლეს, მათ შორის ერთი ოლიმპიური ჩემპიონის ზურაბ ზვიადაურის ძმა, ზვიად ზვიადაური. შსს-მ ორი პირი დააკავა. ზურაბ ზვიადაური ერთი ადამიანის განზრახ მკვლელობის ბრალდებითაა დაკავებული, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვის ბრალდებით, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, 1977 წელს დაბადებული ჯაბა ჯანგირაშვილი დააკავეს.

შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზურაბ ზვიადაურმა იმ მამაკაცს ესროლა, რომელმაც გასროლა მისი ძმისა და რამდენიმე პირის მიმართულებით განახორციელა.

ზვიადაურს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ლანჩხუთში შინდისის გმირის საფლავი გაძარცვეს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შინდისის გმირის საფლავი გაძარცვეს.

სოფელ ქვიანში რუსლან წულაძის დედას საფლავი გაძარცვული დახვდა. წაღებულია ალუმინის ნაკეთობები და საფლავის ჭიშკარი.

როგორც ლიდია ინგინა ამბობს, შვილის საფლავზე ყოველდღე დადის, თუმცა წვიმიანი ამინდის გამო ბოლო დღეებში მისვლა ვერ მოახერხა და ფაქტის შესახებ 5 ოქტომბერს შეიტყო. მისივე განცხადებით, საფლავიდან მცირე ნივთები სხვა დროსაც იკარგებოდა, მაგრამ ჭიშკრის მოპარვის შემთხვევა პირველია.

შემთხვევა ლანჩხუთში 5 ოქტომბერს მოხდა. ინგინამ პოლიციას მაშინვე მიმართა. მომხდარზე გამოძიება უკვე მიმდინარეობს.

რუსლან წულაძე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გმირია.

11 აგვისტოს ის 24 წლის ასაკში სოფელ შინდისთან გმირულად დაიღუპა.

შსს-ს თანამშრომელს შეეძლება, სამინისტროს სისტემის საინფორმაციო ბაზებში დაცული მონაცემები დაამუშაოს

შს სამინისტროს თანამშრომელი უფლებამოსილი ხდება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს სისტემის საინფორმაციო ბაზებში დაცული მონაცემები დაამუშაოს.

ამ მიმართულებით პარლამენტს შს სამინისტროს ავტორობითა და მთავრობის ინიციატივით „პოლიციის შესახებ“ კანონში ცვლილებები წარედგინა.

უფრო კონკრეტულად, ჯერ კიდევ მოქმედი კანონით, პოლიციელი უფლებამოსილია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შეაჩეროს პირი, პერსონალური მონაცემები გამოკითხოს და პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა მოსთხოვოს. ამასთან, კანონი არ ითვალისწინებს პოლიციის თანამშრომლის მიერ პირისგან წარდგენილი მონაცემების სამინისტროს საინფორმაციო ბაზებში გადამოწმების შესაძლებლობას. როგორც უწყება განმარტავს, აუცილებელია, იდენტიფიკაციის ჩატარება შესაძლებელი გახდეს, მათ შორის ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირის მიერ მიწოდებული მონაცემები ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი მის ნამდვილ ვინაობას არ შეესაბამება.

პარლამენტში განსახილველად წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრება პოლიციელის უფლებამოსილება, წარმოდგენილი მონაცემები სამინისტროს საინფორმაციო ბაზებში გადაამოწმოს. სამინისტროს საინფორმაციო ბაზაში გადამოწმების საფუძველი შესაძლოა იყოს ძებნილი ან დაკარგული პირის იდენტიფიცირება, უკანონოდ მყოფი უცხოელის იდენტიფიცირება ან უფლების ჩამორთმევის გადამოწმება.

პროექტის თანახმად, პირის იდენტიფიკაციის საფუძვლებს ემატება შემთხვევა, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირის მიერ მიწოდებული მონაცემები მის ნამდვილ ვინაობას არ შეესაბამება.

„ნათლიაჩემის ქმარმა ჩემი სექსუალური შევიწროება ცადა“

რას ყვება 18 წლის ქალი

ქობულეთში ახალგაზრდა ქალი ნათლიის მეუღლეს გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებს.

როგორც ის ყვება, შემთხვევა 2 თვის წინ მოხდა.

31 წლის კაცი ამ დროისთვის წინასწარ პატიმრობაშია.

18 წლის გოგონა ყვება, რომ ის ნათლიასთან სტუმრად იყო, როდესაც კაცმა მისი გაუპატიურება ცადა.

– ნათლიაჩემის ქმარმა ჩემი სექსუალური შევიწროება ცადა. რა თქმა უნდა, მივმართე პოლიციას. იყო მცდელობები, რომ, მაგალითად, ბავშვები ჰყავს, შეიბრალეო. ამ დროს მეც ბავშვი ვიყავი, არ ვითხოვდი, რომ აქცენტი ჩემზე გადმოსულიყო, უბრალოდ, თავიანთი შვილები წარმოედგინათ იმ მომენტში ჩემ ადგილას.

მისი 2 შვილი იყო იმ ოთახში. ის ცდილობდა, ძალა გამოეყენებინა. მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ თავი დამეცვა. როგორც კი საშუალება მომეცა, იმ სახლიდან გამოვიქეცი, – ყვება გოგო.

სავარაუდო დაზარალებულის ინტერესებს არასამთავრობო ორგანიზაცია იცავს, სადაც ვარაუდობენ, რომ ბრალდებულს გავლენიანი სანათესავო ჰყავს, რომელიც გამოძიებაზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობს.

ფუმიო კისიდა იაპონიის ახალი პრემიერი გახდა

იაპონიას ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს. ეს პოსტი ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ფუმიო კისიდამ დაიკავა.

მართალია, კისიდა მმართველი ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის წევრია, მაგრამ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შედეგად ბევრი ალაპარაკდა იაპონიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ერის დაწყებაზე.

64 წლის ფუმიო კისიდა პროფესიონალი პოლიტიკოსების ოჯახში გაიზარდა. მამამისი და ბაბუამისი იაპონიის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის გამოჩენილი წევრები იყვნენ.

კისიდების ოჯახი წარმოშობით ხიროსიმადანაა. ფუმიოს ბავშვობიდან ესმოდა მშობლების მონათხრობი ატომური ბომბარდირების საშინელებასა და იმაზე, რომ იაპონიამ მეორე მსოფლიო ომში კატასტროფა განიცადა, რაშიც მილიტარისტული წრეები იყვნენ დამნაშავე. ამ ატმოსფეროში გაზრდილ კისიდას მილიტარისტებისადმი ზიზღი პატარაობიდანვე დაჰყვა.

კისიდამ ძალზე ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ თანამედროვე დემოკრატიული იაპონია აშენებულიყო. ის განათლებით იურისტია.

თანამედროვენი კისიდას ახასიათებენ, როგორც სიტყვაძუნწ პედანტს. ის იშვიათად ხუმრობს, თუმცა თავისებური იუმორის გრძნობა უდავოდ გააჩნია. კისიდას ყველაფერი ზუსტად აქვს გათვლილი. ის ერთსა და იმავე დროს დგება, საუზმობს, სადილობს, იძინებს. მას არ უყვარს ზედმეტი ლაპარაკი, ქეიფი, მოლხენა, რის გამოც თანამედროვენი მოსაწყენ ადამიანად თვლიან.

კისიდამ ლიბერალ– დემოკრატიული პარტიის ლიდერისა და შეთავსებით პრემიერის პოსტი რთულ დროს ჩაიბარა. პარტიის რეიტინგი დაეცა, არჩევნები კი უკვე ამა წლის ნოემბერშია დანიშნული. კისიდას ამოცანაც მათში ლიბერალ– დემოკრატების გამარჯვების უზრუნველყოფაა.

ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ გაართმევს ის ამას თავს.

აშშ რუსეთზე დარტყმას ამზადებს

აშშ რუსეთზე ძლიერ დარტყმას ამზადებს. ეს აშშ-ის 2022 წლის ბიუჯეტში აისახება. კონგრესმა რუსეთის მიმართ რადიკალური სანქციები უნდა დაამტკიცოს. ახლა სიტყვა სენატმა უნდა თქვას. მის მიერ სანქციების დადასტურების შემთხვევაში დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს პრეზიდენტმა ბაიდენმა. ამის შემდეგ ის ოფიციალურად შევა ძალაში.

ახალი რადიკალური ღონისძიებები ითვალისწინებს სანქციებს „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის მიმართ, აგრეთვე ღონისძიებების გამკაცრებას 35 რუს ოლიგარქთან დაკავშირებით. მათ შორის არიან რუსეთის პრემიერი მიშუსტინი, პუტინის თანაშემწე პესკოვი და ა.შ. რადიკალური სანქციები რუსეთისთვის სვიფტერის გათიშვასაც ითვალისწინებს.

მაკრონი ბლინკენს შეხვდა

პარიზში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი ჩავიდა. ის საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა მიიღო.

საუბრის ძირითადი თემა აშშ-საფრანგეთის ურთიერთობები იყო.

ბლინკენის ვიზიტი აშშ-საფრანგეთს შორის გართულებული ურთიერთობების ფონზე განხორციელდა. მიზეზი აშშ-ავსტრალია-ბრიტანეთის კავშირის შექმნაა. შედეგად ავსტრალიამ უარი განაცხადა, შეესყიდა ფრანგული წყალქვეშა ნავები, რომლებიც ავსტრალიისთვის იყო გათვალისწინებული.

ბაიდენი და ძინპინი ტაივანის აქტის შესრულებაზე შეთანხმდნენ

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინთან გამართული სატელეფონო საუბრის დროს ისინი „ტაივანის შეთანხმების“ შესრულებაზე შეთანხმდნენ.

– სი ძინპინს ტაივანზე ვესაუბრე. ვთანხმდებით, რომ ჩვენ შევასრულებთ ტაივანის შეთანხმებას, – აღნიშნა ბაიდენმა.

როგორც ჩანს, ბაიდენი გულისხმობს ვაშინგტონის „ერთი ჩინეთის პოლიტიკას“, რომლის მიხედვითაც იგი ოფიციალურად აღიარებს პეკინს და არა ტაიბეის და „ტაივანთან ურთიერთობის აქტს“, რომელიც ცხადყოფს, რომ აშშ-ის გადაწყვეტილება ტაივანის ნაცვლად პეკინთან დიპლომატიური კავშირების დამყარებაზე ეფუძნება მოლოდინს, რომ ტაივანის მომავალი მშვიდობიანი გზით განისაზღვრება.

ჩინეთი ტაივანს საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ძალით უნდა იქნეს დაკავებული. ტაივანი აცხადებს, რომ ის არის დამოუკიდებელი ქვეყანა და დაიცავს საკუთარ თავისუფლებასა და დემოკრატიას.

ჯო ბაიდენმა და სი ძინპინმა სატელეფონო საუბარი ჩინეთსა და ტაივანს შორის გაზრდილი დაძაბულობის ფონზე გამართეს.

ტაივანში აცხადებენ, რომ ბოლო 4 დღის განმავლობაში მის საჰაერო თავდაცვის ზონაში ჩინეთის საჰაერო ძალების 148 თვითმფრინავი დააფიქსირეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

სპრეი მენტორი 7

გამოიყენება გაცივებისას, სურდოს, პლევრიტისა და ალერგიის დროს ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად. დამზადებულია ანტიალერგიული მცენარეებისგან.

ჩვენება: ნადგურდება მავნე ბაქტერიები ცხვირის არხებსა და პირის ღრუში, თხელდება ნახველი, ძლიერდება ორგანიზმის იმუნიტეტი, უმჯობესდება სუნთქვა.

გამოყენების წესი: კარგად გავითავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან, შევისხუროთ სპრეი ცხვირის არხებსა და პირის ღრუში (ყელში).

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ლევანდოვსკის „ოქროს ბურთის“ მოგების იმედი აქვს

მიუნხენის „ბაიერნის“ თავდამსხმელ რობერტ ლევანდოვსკის „ოქროს ბურთის“ მოგების იმედი აქვს. როგორც პოლონელმა განაცხადა, მან ბოლო ორ სეზონში აჩვენა, რომ ყველაზე პრესტიჟული ინდივიდუალური ჯილდოს მოპოვება შეუძლია.

– ვიცი, რომ ჩემი ყოველი კარგი თამაში ჩემს შანსს „ოქროს ბურთის“ მოგებაზე აძლიერებს. ბოლო ორ სეზონში ბევრი ტიტული მოვიგე და, ჩემი აზრით, შემიძლია ვიფიქრო „ოქროს ბურთის“ მოგებაზე. ეს, რა თქმა უნდა, უდიდესი პატივი და მიღწევა იქნება. ვამაყობ და ბედნიერი ვარ, რომ კანდიდატთა სიაში ვარ. იმედი მაქვს, პოლიტიკა არ ჩაერევა და ხმის მიცემა დაფუძნებული იქნება ფეხბურთელების მიერ მოედანზე ნაჩვენებ თამაშზე, – თქვა ლევანდოვსკიმ.

რობერტ ლევანდოვსკი „ოქროს ბურთის“ მოგების მთავარ კანდიდატად 2020 წელსაც განიხილებოდა, მაგრამ „ფრანს ფუტბოლმა“ კორონავირუსის პანდემიის გამო გამოკითხვა მაშინ არ ჩაატარა და პრიზიც არავის გადაეცა.

მიქაუტაძე ბელგიის მე-10 ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა

ბელგიური სერენის თავდამსხმელი გიორგი მიქაუტაძე „ფენტეზი ფუტბოლის“ მიხედვით ბელგიის იუპილერ ლიგის მეათე ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა.

20 წლის ქართველმა ფეხბურთელმა ყველაზე მეტი ქულა დააგროვა ფენტეზიში – 17 ქულა.

გიორგიმ ზულტე ვარეგემთან შესანიშნავად ითამაშა, ჰეთ-თრიქი შეასრულა, რომელიც მისთვის სეზონში მეორე იყო, მაგრამ კონკრეტულად ბელგიის უმაღლეს დივიზიონში – პირველი.

სერენში დაბრუნების შემდეგ მიქაუტაძემ 5 მატჩი ჩაატარა, 7 გოლი გაიტანა და ორჯერ ჰეთ-თრიქი შეასრულა (ერთხელ ბელგიის თასზე).

სალაჰი ხელფასის მომატებას ითხოვს

„ლივერპული“ მოჰამედ სალაჰთან კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკებას აწარმოებს და ფეხბურთელმა კლუბს მოთხოვნა წაუყენა.

„ინდეპენდენტის“ ცნობით, სალაჰს უნდა, რომ ყოველკვირეულ გასამრჯელოდ 300-380 ათასი ფუნტი დაუნიშნონ. მისი ამჟამინდელი ანაზღაურება დაახლოებით 200 ათასია.

ეგვიპტელს „ლივერპულთან“ ხელშეკრულება 2023 წლის ზაფხულამდე აქვს გაფორმებული.

პაუ გასოლი კალათბურთიდან წავიდა

სამშაბათს, 5 ოქტომბერს, ნბა-ს 2-გზის ჩემპიონმა პაუ გასოლმა დიდი კალათბურთიდან წასვლა ოფიციალურად დააანონსა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ მისი ნომრის ხმარებიდან ამოღებას გეგმავს.

20-გზის „გრანდ სლემის“ მომგები რაფაელ ნადალი პაუ გასოლის კარიერის დასრულების გადაწყვეტილებას გამოეხმაურა.

„ესპანური სპორტის უდიდესმა ლეგენდამ კარიერა დაასრულა. ბევრი რამის თქმა მინდა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი არის მადლობა, პაუ“, – წერს ნადალი საკუთარ „ტვიტერის“ გვერდზე.

რაფას გარდა, კომენტარი რასელ უესტბრუქმაც გააკეთა. მისი თქმით, ბავშვობაში მისი ფავორიტი კალათბურთელი პაუ გასოლი იყო.

„საინტერესო ფაქტი ცოტამ თუ იცის, ჩემი ბავშვობის საყვარელი კალათბურთელი პაუ გასოლი იყო. მოგვიანებით კობის გულმხურვალე ფანი გავხდი.

მომწონდა, როგორც ის თამაშობდა; მესმოდა, რომ ის განსხვავებული პოზიცია იყო, თუმცა მეც ვცდილობდი, მასავით მეთამაშა. ის ნამდვილ და სწორ კალათბურთს მიჰყვებოდა, აკეთებდა გადაცემებს, ესროდა და საკუთარი გუნდისთვის ქულები მოჰქონდა. მიყვარდა მისი სტილი. ვერ გეტყვით, რამდენად იმოქმედა ამან ჩემს სტილზე, თუმცა ძალიან მომწონდა“, – განაცხადა რასმა.

ბოლოს სეზონში პაუ გასოლმა ევროპაში, ბარსელონის შემადგენლობაში ითამაშა.

კალეიდოსკოპი

სახლის შესაკეთებელი სამუშაოების დროს კედელში განძს მიაგნეს

საფრანგეთის ქალაქ კემპერის მკვიდრმა ოჯახმა მილიონ ევროზე მეტი გამოიმუშავა მათ სახლში ნაპოვნი ოქროს მონეტების განძით.

სახლის შესაკეთებელი სამუშაოების დროს მუშებმა კედელში ლითონის ყუთი აღმოაჩინეს, რომელშიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის (1789 წელი) დროს გამოშვებული 239 მონეტა იდო. ბინის პატრონებმა გადაწყვიტეს, ოთხი მონეტა სამახსოვროდ დაეტოვებინათ, დანარჩენები კი გასაყიდად გამოიტანეს. განძის შემფასებლები ვარაუდობდნენ, რომ მასში ოჯახი 250-300 ათას ევროს მიიღებდა.

აუქციონი ოთხშაბათს, 29 სექტემბერს გაიმართა. პირველ ლოტად იქცა 1646 წლის ოქროს ლუიდორი, სასტარტო ფასით რვა ათასი ევრო. ის 46 ათას ევროდ გაიყიდა. ოჯახს ასეთივე თანხა მოუტანა 1640 წლის მონეტამ ტამპლიერების ჯვრის გამოსახულებით. მყიდველების დაინტერესებამ სხვა მონეტების მიმართ ასევე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

სახლის პატრონები აპირებენ მიღებული თანხა გაუნაწილონ მუშებს, რომლებმაც კედელში დამალულ განძს მიაგნეს.

ძაღლმა პატრონები აგრესიული დათვისგან დაიცვა

აშშ-ში ძაღლმა გადაარჩინა პატრონები, რომლებსაც აგრესიული დათვი ბარიბალი დაესხა თავს.

აღნიშნული ინციდენტი ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ აშვილის მახლობლად მოხდა. ხანდაზმული წყვილი ძაღლთან ერთად პიკნიკზე იმყოფებოდა ადგილობრივ ნაკრძალში. ტურისტები გორაკის ფერდობზე ისხდნენ, როდესაც მათმა ძაღლმა ყეფა ატეხა. რამდენიმე წამში მათ მახლობლად ახალგაზრდა დათვი ბარიბალი გამოჩნდა.

შავი დათვი აგრესიულად იქცეოდა და მაშინვე მათზე თავდასხმას შეეცადა. თუმცა მათ ძაღლის აშვება მოასწრეს, რომელმაც მტაცებელ ცხოველს შეუტია. წყვილმა ნელ-ნელა მანქანისკენ დახევა დაიწყო. დათვი მათთვის თათის ჩარტყმას ცდილობდა, მაგრამ ძაღლი მას ამის საშუალებას არ აძლევდა. საბოლოოდ წყვილმა ავტომობილამდე მიღწევა მოახერხა და მასში თავიანთ შინაურ ცხოველთან ერთად ჩაიკეტნენ.

ოდნავ მოგვიანებით წყვილი მცირე დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ძაღლი უვნებლად გადარჩა. წყვილის აღწერილობით, დათვი ახალგაზრდა, დაახლოებით 90 კილოგრამი წონის იქნებოდა. სამაშველო სამსახურები აგრესიული ცხოველის ძებნას შეუდგნენ.

ახალგაზრდა მამაკაცი, საჭმელების შიშით, მხოლოდ ნაგეთსებით იკვებება

ინგლისის დარემის საგრაფოს ქალაქ დარლინგტონის მცხოვრები 18 წლის დევიდი საჭმელების შიშით მხოლოდ ნახევარფაბრიკატებით იკვებება და ინფარქტით დაღუპვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ახალგაზრდამ აღიარა, რომ საჭმელების უჩვეული ტექსტურა აშინებს და ამან ის აიძულა, უარი ეთქვა მრავალ პროდუქტზე. მან განაცხადა, რომ ბავშვობიდან არ ეკარებოდა ბოსტნეულს და ხილს მათი ტექსტურის გამო.

– არ მიყვარს ახალი ტექსტურის გასინჯვა, მაგალითად, კარტოფილის პიურეს. მე მხოლოდ ხრაშუნა საკვები მომწონს. ფაფის მაგვარი კერძები ჩემში გულის რევას იწვევს, – აღიარა დევიდმა.

ახალგაზრდა მამაკაცის თქმით, მას სახლში სპეციალური მაცივარი აქვს, რომელშიც გაყინული ქათმის ნაგეთსებს ინახავს. კვირაში ინგლისელი დაახლოებით 100 ცალ ნაგეთსს ჭამს. მისივე აღიარებით, მას თავის ცხოვრებაში არასოდეს გაუსინჯავს დედის მიერ მომზადებული საშობაო კერძები.

ბრიტანელი საკუთარ პრობლემაზე ექიმს ესაუბრა, რომელმაც მას აუხსნა, რომ რაციონი, რომელიც მხოლოდ ნახევარფაბრიკატებისგან შედგება, სახიფათოა მისი სიცოცხლისთვის. ნაგეთსების ასეთი დიდი ოდენობით მოხმარებით დევიდი დიდი ოდენობით ცხიმებს მოიხმარს, რამაც შესაძლოა მეორე ტიპის დიაბეტის განვითარება გამოიწვიოს, რასაც მოჰყვება სიმსუქნე, შემდეგ კი ინფარქტი და ინსულტი.

ექიმთან საუბრის შემდეგ ახალგაზრდამ გადაწყვიტა საკუთარი მენიუ შეეცვალა და ამჟამად ის უკვე უარს აღარ ამბობს ბოსტნეულსა და ხილზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კვარაცხელია „აიაქსში“ 12 მილიონად არ გაყიდეს, ახლა კი მისი ფასი ეცემა

საფეხბურთო აგენტმა თემურ ღურწკაიამ საქართველოს ნაკრებისა და ყაზანის „რუბინის“ ფეხბურთელის ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ ისაუბრა.

როგორც მან განაცხადა, ხვიჩას სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს ახლა არავინ გადაიხდის და მისი ფასი ეცემა.

ღურწკაია მიიჩნევს, რომ „რუბინში“ მისი ღირებულება ზაფხულში არასწორად შეაფასეს და ისინი ინგლისიდან სარფიან წინადადებებს შეცდომით ელოდნენ.

– არავინ ყიდულობს ხვიჩას. მისი ფასი სტაბილურად ეცემა. „რუბინმა“ 20 მილიონი ევრო მოითხოვა. ყველა ამბობდა, რომ ნებისმიერი ინგლისური გუნდი იყიდდა მას, იმის გათვალისწინებით, რომ 30-40 მილიონ ევროს არაფერში იხდიან. სინამდვილეში, არავინ იყიდა და ახლა ის ცუდად თამაშობს. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეჩერდება მისი ფასის ვარდნა, თუ ახლა მაგრად ითამაშებს და საქართველოს ნაკრებში რაიმე სასწაულს მოახდენს. ახლა მასში 10-12 მილიონ ევროზე მეტს არავინ გადაიხდის.

ხვიჩა გაზაფხულზე კარგად თამაშობდა, ნაკრებში ესპანეთსა და საბერძნეთს გაუტანა და „რუბინში“ სწორედ მაშინ იფიქრეს, რომ მისი ღირებულება 20 მილიონი ევრო იყო. ვიღაცამ დაარწმუნა ისინი, რომ „აიაქსში“ 12 მილიონ ევროდ არ გაეყიდათ. ეგონათ, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ინგლისიდან დიდძალ ფულს მიიღებდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა, – თქვა ღურწკაიამ.

მიმდინარე სეზონში ხვიჩა კვარაცხელიამ ყველა ტურნირზე 9 მატჩი ჩაატარა, 1 გოლი გაიტანა და 1 საგოლე პასი გააკეთა.

ჩაკვეტაძე 2-მატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 2.000 ევროთი დააჯარიმეს

ბელგიური „გენტის“ ნახევარმცველი გიორგი ჩაკვეტაძე ბელგიის იუპილერ ლიგაში უახლოეს ორ მატჩს გამოტოვებს – მიზეზი დისკვალიფიკაციაა.

ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა 21 წლის ქართველი შემტევი დასაჯა და პლუს ამას 2.000 ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდაც დააკისრა.

გიორგიმ „ანტვერპენთან“ მატჩში პიტერ გერკენსს ფეხი დააბიჯა, რის გამოც წითელი ბარათი მიიღო, კარიერაში პირველად.

„გენტი“ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და ის გაასაჩივრა. თუ საჩივარმა შედეგი არ გამოიღო, ჩვენებური 17 და 24 ოქტომბერს, შესაბამისად, „ეუპენთან“ და „გენტთან“ ვერ ითამაშებს, სამაგიეროდ, მიმდინარე თვეში კონფერენს ლიგასა და ბელგიის თასზე თამაში შეეძლება, ხოლო ბელგიის ჩემპიონატში დისკვალიფიკაციას ვადა 1 ნოემბერს „უნიონთან“ შეხვედრაში გაუვა.

მიმდინარე სეზონში გიორგი ჩაკვეტაძემ ყველა ტურნირზე 9 მატჩი ჩაატარა და 2 საგოლე პასი შეასრულა.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანეესარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, ასოცირებულ პროფესორს მანანა ლობჟანიძეს გარდაეცვალა მამა

დიმიტრი ლობჟანიძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

სანიოლმა მიქაუტაძეს, ხოჭოლავასა და ჩაბრაძეს დასვენების საშუალება მისცა

საქართველოს ეროვნული ნაკრები ოქტომბერში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის მზადებას განაგრძობს.

5 ოქტომბერს ვილი სანიოლის გუნდმა ს.კ. „ზესტაფონის“ თბილისის ზღვის ბაზაზე 22 ფეხბურთელის შემადგენლობით ივარჯიშა. მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, დავით ხოჭოლავას, გიორგი მიქაუტაძესა და გრიგოლ ჩაბრაძეს დასვენების საშუალება მიეცათ და ისინი საწვრთნელ პროცესში 6 ოქტომბრიდან ჩაერთნენ.

ეროვნული გუნდის მზადების შესახებ კომენტარი ოთარ კაკაბაძემ და ზურიკო დავითაშვილმა გააკეთეს.

ოთარ კაკაბაძე:

– ორი დღეა, რაც შევიკრიბეთ. ოქტომბერში ორი ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გველის და ორივე შემთხვევაში აუცილებლად მოსაგებად ვიბრძოლებთ. განსაკუთრებული მომენტია, რომ ბათუმში ვითამაშებთ და მატჩს გულშემატკივარი დაესწრება. მაქსიმალურად მოვინდომებთ და შევეცდებით, ქომაგები გავახაროთ.

ზურიკო დავითაშვილი:

– ფეხბურთელებისთვის ყველაზე კომფორტული გულშემატკივრების წინაშე თამაშია. მათ გარეშე თამაში განსხვავებულ განწყობას ქმნის, შესაბამისად, გულშემატკივართან ერთად უფრო მოტივირებულნი ვითამაშებთ. საბერძნეთის წინააღმდეგ რთულ მატჩს ველოდები. მათ კარგი გუნდი ჰყავთ, ჩვენ უკვე გავმართეთ ერთი შეხვედრა. კარგად გავაანალიზებთ მეტოქის თამაშს, შევეცდებით მათი სუსტი წერტილების გამოყენებას და, იმედი მაქვს, ყველაფერი ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.

სანდრო მამუკელაშვილის ბრწყინვალე დებიუტი ნბა-ს ჩემპიონში

სანდრო მამუკელაშვილის ბრწყინვალე დებიუტი შედგა „მილუოკი ბაქსში“. მართალია, სანდრომ ლას-ვეგასის საზაფხულო ლიგაზე უკვე ითამაშა მილუოკელთა გუნდში, თუმცა ის ახალბედებისა და გუნდში მოხვედრის უკონტრაქტო კალათბურთელებისგან დაკომპლექტებული დროებითი შემადგენლობა იყო, 6 ოქტომბერს კი მამუკელაშვილმა საგამოფენო მატჩში „მემფისის“ წინააღმდეგ ითამაშა „ბაქსის“ ძირითად შემადგენლობასთან ერთად და თავისიანთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

მამუკელაშვილმა მილუოკელთაგან ყველაზე მეტი – 29 წუთი ითამაშა. ქართველი ცენტრი სათადარიგო იყო და „ბაქსის“ ძირითადი ცენტრი ბრუკ ლოპესი შეცვალა. ამ უკანასკნელმა მოედანზე გატარებულ 20 წუთში 9 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. მამუკელაშვილის ანგარიშზეც 9 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა, რასაც 3 პასი მოაყოლა. ქართველმა ფორვარდმა 5-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა.

მილუოკელთა შემადგენლობაში ტრავმის გამო არ უთამაშია იანის ანტეტოკუმპოს, საუკეთესო შედეგი კი გუნდის მეორეწლიანმა ახალგაზრდამ, ჯორდან ნვორამ დააფიქსირა – 16 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა.

მატჩი „მემფისის“ გამარჯვებით – 87:77 დასრულდა. გამარჯვებულებს 27 ქულით, 6 მოხსნითა და 4 პასით ახალგაზრდა ვარსკვლავმა ჯა მორანტმა ულიდერა.

წააგო „ინდიანამაც“, რომლის შემადგენლობაშიც ქართველმა ცენტრმა გოგა ბითაძემ 11:44 წუთი ითამაშა. ინდიანელები „ნიუ იორკს“ შეხვდნენ და 104:125 წააგეს. ქართველმა ცენტრმა 1 ორქულიანი ააცილა, 3 სამიანიდან კი 1 ჩააგდო. 3 ქულასთან ერთად, ბითაძემ 2 მოხსნა და 2 დაფარება მიითვალა. ინდიანელთა ძირითადმა ცენტრმა მაილს ტერნერმა 17:48 წუთში 10 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი დააგროვა.

მომდევნო მატჩებს ბითაძისა და მამუკელაშვილის გუნდები 8 ოქტომბერს გამართავენ. „ინდიანა“ კლივლენდში „კავალიერსს“ შეხვდება, „მილუოკი“ კი ბრუკლინში – „ნეტსს“.

„რეალი“ მბაპეს წელიწადში 40 მილიონ ევროს სთავაზობს

მადრიდის „რეალმა“ კილიან მბაპეს პირადი კონტრაქტი შესთავაზა. როგორც ესპანური მედია იტყობინება, ფლორენტინო პერესი მზადაა, ფრანგი ფეხბურთელის სანაცვლოდ დიდძალი ფინანსები არ დაიშუროს.

„სამეფო კლუბი“ ფრანგ თავდამსხმელს 6-წლიან კონტრაქტს სთავაზობს, ხელფასის სახით კი – დაახლოებით 40 მილიონ ევროს წელიწადში. „რეალი“ მბაპეს დამატებას უფასოდ გეგმავს, რადგან ფეხბურთელს „პარი სენ ჟერმენთან“ კონტრაქტი ივნისში ეწურება.

კილიანი „რეალთან“ ახლოს ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს იყო და თვითონაც აღიარა, რომ მადრიდულ გრანდში გადასვლას ცდილობდა. ცოტა ხნის წინ კი პერესმა თქვა, რომ იანვარში მბაპეს ტრანსფერთან დაკავშირებით სიახლეები იქნება.

კილიან მბაპე პსჟ-ში 2017 წლიდან თამაშობს. მან მიმდინარე სეზონში საფრანგეთის ლიგა 1-ში 9 მატჩი ჩაატარა, 4 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი შეასრულა.

კასანო: „პოჩეტინოს მალე გაუშვებენ“

ანტონიო კასანო ამბობს, რომ მაურისიო პოჩეტინოს პსჟ-ის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დიდი დრო არ დარჩენია.

ყოფილი ფეხბურთელის თქმით, მისი წყაროების თანახმად, პოჩეტინო გუნდში ტაქტიკაზე არ მუშაობს, რის გამოც სუპერვარსკვლავები ერთმანეთს ვერ ეწყობიან.

კასანომ მისი შემცვლელის საკუთარი ვარიანტიც შემოგვთავაზა – ზინედინ ზიდანი.

– პოჩეტინოს პარიზული ზღაპარი მალე დასრულდება, – განაცხადა ანტონიომ, – მე მასზე ცუდი ამბები გავიგე. ის კარგი ადამიანია, თუმცა, როგორც მწვრთნელი, ტაქტიკის შესწავლასა და შექმნას ერთ წუთსაც არ უთმობს, გუნდი კი ამას ითხოვს. მას ჩემპიონი გუნდი არასდროს გაუწვრთნია, ახლა კი ლოგიკურია, რომ დიდებული ფეხბურთელების გაწვრთნა უჭირს.

აქედან გამომდინარე, თუ არგენტინელი ასე განაგრძობს, მისი დრო მალე ამოიწურება.

ჯოხსვოხდი ბ



შვეულად: 1. სიკო დოლიძის კინოკომედია; 2. ესპანური დილის სერენადა; 3. პირი, რომელიც განაგებს გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას ნავსადგურში; 4. არქტიკის ნორვეგიელი მკვლევარი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. პროგრესის მოწინააღმდეგე ადამიანი; 10. ბრაზილიური არაყი; 11. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 12. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 13. ბავშვთა გასართობი ცენტრი მთაწმინდის პარკში; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტას აეროპორტი; 17. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო ევროპაში; 21. გასართობი, სანახაობითი დაწესებულება; 23. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

თარაზულად: 6. გამოქვაბულში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი; 7. სპარსული ლეგენდების, თქმულებების, მითების კრებული; 8. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული შავი ფერის ფისიანი ქვანახშირი; 9. ჩინური ნავთობკომპანია; 14. ირლანდიური ჯინი; 15. სერბი კინორეჟისორი; 18. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი; 20. სახალხო მთქმელი, მომღერალი-პოეტი უკრაინაში; 22. ისტორიული მოედანი პარიზში; 24. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 25. ძვირფას ქვებზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 26. წყლის სამკურნალო აბაზანა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თაჯა; 2. ირი; 3. პლატფორმა; 4. ბურგი; 5. ბარბერი; 8. ხალი; 9. ჯამბაზი; 10. გარანტია; 12. აიაქსი; 13. ფშავი; 15. აპაში.

თარაზულად: 1. თუტმოსი; 6. კლაუზულა; 7. ჯიხვი; 10. გოტიე; 11. ქლესა; 13. ფობია; 14. დრამი; 16. ქამა; 17. ათაბაგი; 18. ჭყვიში.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჩედვიკი; 2. საფირონი; 3. დიპლომატი; 4. პრომეთე; 5. მანერგეიმი; 10. მალაგა; 11. ფარავანი; 12. კანბერა; 13. ლეკლერი; 16. მონტესუმა; 17. კიმიგაიო; 19. არქაიზმი; 21. გესლი; 23. აჭარა.

თარაზულად: 6. დეგრადაცია; 7. კრიტიკა; 8. წიქარა; 9. კორონერი; 14. დეკალოგი; 15. დინოზავრი; 18. კენია; 20. ლიპტონი; 22. პიანინო; 24. ხერესი; 25. ჩურჩხელა; 26. კარტიე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1484

ევრო — 3.6326

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2705

100 რუსული რუბლი — 4.3349

ამინდის პროგნოზი 7 ოქტომბრისათვის

ანტონიო რუდიგერი ჩელსის დატოვებას აპირებს

ჩელსის ცენტრალურმა მცველმა ანტონიო რუდიგერმა, შესაძლოა, ზამთარში გუნდი დატოვოს, რადგან ის თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა და ტომას ტუჰელთან მცირე კონფლიქტიც აქვს.

რუდიგერი თავის მომავალს პრემიერ ლიგას უკავშირებს და ინგლისის დატოვება არ სურს, თუმცა არსებობს ინფორმაცია, რომ რუდიგერი, შესაძლოა, ტურინის იუვენტუსშიც აღმოჩნდეს, რადგან ტურინელები ახალ ცენტრალურ მცველს ეძებენ.

მასიმო ამბროზინიმ სტეფანო პიოლი შეაქო

მილანის ლეგენდა მასიმო ამბროზინიმ გუნდში შექმნილ მდგომარეობაზე ისაუბრა და თქვა, რომ მილანის კარგი თამაში დიდწილად მთავარი მწვრთნელის სტეფანო პიოლის დამსახურებაა.

ამბროზინის თქმით, პიოლიმ შეძლო და ფეხბურთელებს ის თავდაჯერებულობა დაუბრუნა, რომელიც მათ წინა წლებში არ ჰქონდათ და მილანის წარმატებაც ამით აიხსნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ბავშვებისთვის რძის საყიდლად წასული მამაკაცი ლატარიის გამარჯვებული გახდა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის მკვიდრი ალექსანდრო ასევიდო მაღაზიაში რძის საყიდლად წავიდა და ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

სამი ბავშვის მამა ალექსანდრომ განაცხადა, რომ შაბათს, 25 სექტემბერს სახლში დარჩა თავის გოგონებთან. მალე ის მიხვდა, რომ მაცივარში რძე აღარ ჰქონდა და გადაწყვიტა მაღაზიაში ჩაერბინა და ეყიდა.

სალაროსთან მამაკაცმა რძის გარდა 10-დოლარიანი ლატარიის ბილეთიც შეიძინა. მალე ალექსანდრო მიხვდა, რომ ამ გადაწყვეტილების წყალობით ის 200 ათასი დოლარით გამდიდრდა.

– ეს დაუჯერებელია! არ მიყვარს საკუთარი ემოციების ჩვენება, მაგრამ შიგნით მთელი ჩემი ორგანიზმი დუღს და ფეთქავს სიხარულისგან! – განაცხადა იღბლიანმა სამი შვილის მამამ.

მოგებული თანხით მამაკაცი სახლის შეკეთებას და გადასახადების გასტუმრებას გეგმავს. ასევე აპირებს, თავისი გოგონები ფლორიდაში უოლტ დისნეის პარკში წაიყვანოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

7 ოქტომბრისათვის

ვერძი – საქმიანი აქტივობისათვის შეუფერებელი დღეა. მოშურნეები ყველანაირად ხელს შეგიშლიან. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კურო** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **ტყუპები** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **კირჩხიბი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ლომი** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **სასწორი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **ღრიანკალი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ძალზე შესაფერისი დღეა მშვიდი დასვენებისათვის. შეგიძლიათ მოაწესრიგოთ საოჯახო საქმეები, იფიქროთ. **მერწყული** – თავს ნუ გადაიღლით. ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა. სასიყვარულო ავანტიურაში ნუ ჩაებმებით. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ავტობუსში ორი 16-17 წლის გოგონა ზის, გაჩერებაზე ბიჭი ამოვიდა, მათ გვერდით გაჩერდა და ეუბნება:

– რა სიმპათიური გოგონები ხართ.

– რა სიმპათიურები, – უპასუხა ერთ-ერთმა გოგონამ შეცბუნებული სახით.

– კარგით, კარგით, ვიხუმრე, ვიხუმრეეე...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

– ბიჭო, წუხელის სახლში საკმაოდ გვიან მაგარი მთვრალი დავბრუნდი, უხმაუროდ გავიხადე და ცოლს ლოგინში შევუწექი...

– მერე?

– მერე, სიდედრის ხმა მესმის: „შენი ცოლი მეორე ოთხში წევს!“... ბიჭო, ასე სწრაფად ცხოვრებაში არასოდეს გამოვფიზლებულვარ.

●●●

გამყიდველი მყიდველს ეუბნება:

– თქვენზე 100 ლარია გადასახდელი.

– კი მაგრამ, 50 ლარი რომ აწერია?

– დიახ, აწერია, მაგრამ სინამდვილეში 100 ლარი ღირს.

– კარგით, აი გამომართვით...

– ბოდიშით, მაგრამ თქვენ მხოლოდ 50-ლარიანი მომეცით.

– დიახ, 50 აწერია, თორემ სინამდვილეში 100 ლარია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დავით დოიაშვილი 18 წლამდე მაყურებელს თეატრში არ უშვებს

რეჟისორი დავით დოიაშვილი და ვასო აბაშიძის სახელობის „ახალი თეატრი“ თეატრალურ სეზონს პრემიერით გახსნის, სადაც 18 წლამდე მაყურებელს არ დაუშვებს.

14 ოქტომბერს მაყურებლისთვის წარმოდგენილი იქნება სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, რომელსაც დავით დოიაშვილი დგამს.

სპექტაკლში „ახალი თეატრის“ მსახიობებთან ერთად ნინო კასრაძეც მონაწილეობს.

„მასტერშეფის“ მეექვსე სეზონის თორმეტეული ცნობილია

კულინარიულმა შოუმ „მასტერშეფმა“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე რიგით მეექვსე სეზონი დაიწყო. ახალ კონკურსანტებთან ერთად მაყურებელს ჟიურის ახალი წევრის გაცნობაც მოუხდა. შეფ ლევან კობიაშვილის ნაცვლად კონკურსანტების მიერ მომზადებულ კერძებს შეფი თეკუნა გაჩეჩილაძე შეაფასებს.

შესარჩევ კონკურსში ლუკა ნაჭყებიამ, კონსტანტინე თედელურმა და თეკუნა გაჩეჩილაძემ ოქროს წინსაფრებით ნარგესი და დიმიტრი დაასაჩუქრეს. დანარჩენ 10 კონკურსანტს კი ჩვეულებრივი წინსაფრები ერგო.

მეექვსე სეზონის „მასტერშეფის“ მონაწილეები არიან რუსო დაუშვილი, ომარ გოგოხია, მარიკა კოპალიანი, გიორგი ჩიგოგა, მერი ბარაბაძე, გიორგი ნაცვლიშვილი, ნინო ფოლადაშვილი, თამარ ოსაძე, ირაკლი ბიწაძე და რატი გიორგობიანი.

გოჩა აბულაძემ „მაგთის“ კონკურსში გაიმარჯვა

ოპერის მომღერალმა გოჩა აბულაძემ, რომლის ჰობიც ორიგინალური ფოტოების გადაღებაა, „მაგთის“ ფოტოკონკურსი მოიგო.

გოჩა აბულაძე:

– პირველი ცდა და სრულიად მოულოდნელი გამარჯვება. ამ ბედნიერებას ვუძღვნი ჩემს ქალაქს, ქუთაისს, სადაც ეს ფოტო გადავიღე და უშანგი ბაბუას, რომელსაც უზომოდ უყვარდა ფოტოგრაფია და სახლში მოწყობილ ლაბორატორიაში ამჟღავნებდა დამოუკიდებლად ფოტოებს!

ჩემი უსაყვარლესი ფოტოგრაფი, ლეგენდარული ნათელა გრიგალაშვილი, ირჩევდა გამარჯვებულს და ეს კიდევ უფრო მიმძაფრებს დიდი სიხარულის გრძნობას!

მადლობა ყველას. მადლობა მაგთიკომს. დიდი სიყვარულით, თქვენი ნიკონით მოხეტიალე აბულინი!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მძარცველი ზვიგენებთან გადაღებული ვიდეოს გამო ჩავარდა

აშშ-ში დამნაშავე, რომელმაც მაღაზია გაძარცვა, ზვიგენებთან გადაღებული ვიდეორგოლის გამო ჩავარდა.

მაღაზიის ძარცვა აგვისტოში მოხდა. ვაშინგტონის შტატის ქალაქ ევერეტის მაღაზიაში, რომელიც მარიხუანით ვაჭრობს, სამი ნიღბიანი მამაკაცი შეიჭრა. მათ იარაღის მუქარით აიძულეს დაწესებულების თანამშრომელი, მათი ჩანთები მარიხუანით გაევსო, ხოლო სეიფიდან 15 ათასი დოლარი აიღეს და გაიქცნენ.

სათვალთვალო კამერების ჩანაწერების წყალობით მოხერხდა ერთ-ერთი მათგანის ამოცნობა, ამაში კი სამართალდამცავებს მისი სვირინგი დაეხმარა. პოლიციამ ორდერი მოითხოვა მისი ტელეფონების ჩანაწერებზე ხელმისაწვდომად, რაც საკმარისი იქნებოდა მის დასაკავებლად.

ამის შემდეგ პოლიციამ შეისწავლა მძარცველის გვერდი ფეისბუქში და აღმოაჩინა, რომ დანაშაულის ჩადენამდე რამდენიმე დღით ადრე მან გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც ჩანს, თუ როგორ მიცურავს თევზების მოზრდილი გუნდის გასწვრივ რამდენიმე ზვიგენი. ვიდეოს კომენტარში ეწერა: „ერთ მუშტად შეკრული გუნდი – სულ ესაა რაც გჭირდება“. მისმა ავტორმა მასში თავისი ორი მეგობარი მონიშნა. პოლიციამ ორივეს გეოლოკაცია შეამოწმა და დაადგინა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ერთ-ერთი მათგანი დაკავებულ ბოროტმოქმედთან ერთად იმყოფებოდა.

საბოლოოდ ორივეს დაკავება სექტემბრის ბოლოს მოხერხდა. ამჟამად ორივე საპატიმროში იმყოფება. მესამის ძებნა გრძელდება.

ქმარმა ცოლს ბინაში მიმოყრილი ფლოსტების გამო უჩივლა

ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდის მცხოვრებმა ცოლის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და კომპენსაციის სახით 80 ათასი დოლარი მოითხოვა კიბიდან ჩამოვარდნის გამო, რისი მიზეზიც მეუღლის მიერ მიმოყრილი ფლოსტები გახდა.

ჯონ უოლვორტს სარდაფში ჩაჰქონდა ყუთი, რომელშიც ძმრით სავსე ოთხლიტრიანი ქოთნები ეწყო და ამ დროს ვერ შენიშნა კიბის თავთან მეუღლის ჯუდი ჰურის მიერ დაგდებული ფლოსტი. მამაკაცი მას წამოედო, წაბორძიკდა და კიბეზე დაგორდა. შედეგად მან ფეხის და ორივე ხელის მოტეხილობა მიიღო. მოტეხილობებს ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. საერთო ჯამში, უოლვორტს საკუთარი მკურნალობა დაახლოებით 80 ათასი დოლარი დაუჯდა.

2019 წლის ოქტომბერში მამაკაცი შეეცადა მკურნალობის ხარჯების გადახდა მეუღლისთვის დაეკისრებინა და მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. საქმის განხილვა თითქმის ორ წელს გაიწელა და ახლახან ოჰაიოს შტატის სასამართლომ მამაკაცს მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. სასამართლოს დადგენილებით, ფლოსტები გამოსაჩენ ადგილას ეწყო და უოლვორტს მათ დანახვაში ხელს არაფერი უშლიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 2. იაპონელი მწერალი, რომან „საკურას“ ავტორი; 3. „ფორმულა-1-ში“ მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 4. სიკეთე, კეთილი საქმე; 5. ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავი; 8. მატყლის ძაფის სართავი უმარტივესი, ბზრიალა ხელსაწყო; 9. პიროტექნიკური ტკაცუნა; 10. უბანი ქუთაისში; 12. ჟარგონი, არგო ინგლისურ ენაში; 13. საშობაო სიმღერა; 15. ჯეიმს ჯოისის რომანი.

თარაზულად: 1. უძველესი ქართული ხალხური თეატრალური თამაში-წარმოდგენა; 6. ტყავის დამამუშავებელი საამქრო ძველად; 7. რაიმეს საზღვარი, ზღუდე; 10. გარეული ცხოველი, აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო; 11. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 13. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 14. ესპანელი კინოვარსკვლავი ქალი; 16. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 18. კომპანია „ზარას“ მფლობელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა